# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 17 აპრილი, 2010 წელი.

№71 (6437)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## დღეს დავითისა და შოთას იდეებზე აღზრდილი და ბიბლიურ ზნეობრივ ღირებულებათა მცველი, ახალი და ძველი თაობის ყველა მოქალაქის ჯერი დგება



5

## მსახიობის ცხედარი იპოვეს



2

## „იმედის“ ჟურნალისტთა სახივარი

## მერობის ყველა კანდიდატი არ არის დამოუკიდებელი თავის არჩევანში

## ფუი ეშმაკს!

# სამებაში წყალი ჩამოდის

ქვირფასო რედაქცია, ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ თუ ჩვენს ახალთახალ სამებას ჭერი უმტყუნებდა და წყალი ჩამოვიდოდა, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. კერძოდ, ახალგაზრდულ ცენტრზე მოგახსენებთ, რომელსაც სახურავად ბანი აქვს, ბრტყელ გადახურვად რომ არის ცნობილი, და სწორედ ამ არამკვიდრი ბანის გამოა, რაც ხდება.



მოხდენით კი ის ხდება, რომ უკვე კარგა ხანია, წყალი რეცხავს კედლებს. გუშინწინ, მაგალითად, ერთ-ერთ მართლაც კარგ ღონისძიებას დავესწარი და, სანამ თვითონ ახალგაზრდული ცენტრის დარბაზში შევიდოდი, გუბეების გატოპვა მომიხდა...

ყველაზე სამწუხარო და ასაღელვებელი კი ის არის, რომ ეს მარტო გუშინდელი ამბავი არ არის. ჯერ კიდევ შარშან, შემოდგომაზე, ერთ-ერთი ჩვენი სახელოვანი პოეტის საღამოზე რომ მივედი, ბანიდან ჩამოსულ წყალს უკვე დაელტო ჭერიცა და კედლებიც. ასე რომ აშკარაა დანაშაულებრივი გულგრილობა.

სამება ხომ ჩვენი სულიერი სიმაღლის გამომხატველია, და ნუ ვაქცევთ ჩვენივე სულმდაბლობის „წყალგამტარ“ სიმბოლოდ.

იმედი მაქვს, ამ ჩემს გულისტკივილიან შენიშვნას გამომიქვეყნებთ, და ვისაც ტაძრის სიმკვიდრეზე პასუხისმგებლობა აკისრია, უთუოდ „გამოიჩიჩქნის“ ასე ავბედითად „წყალჩასულ“ ყურებს.

სამებამ საუკუნეები უნდა იცოცხლოს. ასე თუ მოვექცევით და დღესვე არ მივხედავთ, საუკუნეებში კი არა... მართლაც წყალს გავატანთ, როგორც ძალიან ბევრ სხვა რასმე, ჩვენი ხალხის, დიახაც ხალხის, ესოდენ საყოველთაო ნაშრომსა და ნაღვაწ-ნაჭირნახულებს.

იოსებ მოძღვრიშვილი,
ქ. თბილისი.



## მარინა ჩიტაშვილი: ოპოზიციის შედეგები ბევრად იქნება იმაზე დამოკიდებული, ვის დაუჭერს მხარს „ლეიბორისტებისა“ და „ფორუმის“ ელექტორატი

3

## მშვენიერ წარსულში დაბრუნების ხელოვნება

6-7





8

## გვანცა კოპლატაძის ღვაწლი რწმენის, სასოებისა და სიყვარულის გადასარჩენად

## ქართული „იმედი“ რუსულ აგრესიაზე

რეალური საფრთხეა თუ სიტუაციის გამძაფრება? ქართული ტელეკომპანია „იმედის“ სკანდალურმა რეპორტაჟმა ცეცხლს ნავთი დაუმატა თბილისსა და მოსკოვს შორის დაძაბულ ვითარებაში.

8

**პრეზიდენტი**

# სად გლობალური პრობლემები და სად უშუქობა საქართველოში?!

საჭიროა ყველამ გაიაზროს საქართველოს როლი გლობალური პრობლემების გადაწყვეტაში. ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ვაშინგტონში, ატლანტიკურ საბჭოში სიტყვით გამოსვლისას ისაუბრა.

— თუ კარგად გადავხედავთ საქართველოს ისტორიას, ასევე ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებს, ეს როლი სახეზე იქნება. სულ ცოტა ხნის წინათ საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე არ ჰქონდა არანაირი ავტორიტეტი. ეს იყო ქვეყანა, სადაც პოლიცია კორუმპირებული იყო, ხალხი კი მის შედეგებს საკუთარ თავზე განიცდიდა. ეს იყო სიბნელის ქვეყანა — დედაქალაქში მცხოვრებ ადამიანებს ელექტროენერგია დღეში მხოლოდ დღეში ხუთი საათი ჰქონდათ. ეს იყო ქვეყანა, რომელსაც არ შეეძლო გამკლავებოდა არც ერთ გამოწვევას. მაგრამ ჩვენი დანიშნულება სწორედ ამისი გადალახვა გახდა, რაც შევძელით, — დასძინა სააკაშვილმა.

**საარჩევნოდ**

# მერობის ყველა კანდიდატი არ არის დამოუკიდებელი თავის არჩევანში

## როგორი პოზიცია აქვს „ქართულ აკადემიას"?

**„ქართული აკადემია" კიდევ ერთი ინიციატივით გამოვიდა და გუშინ არჩევნებზე სასაუბროდ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ექსპერტებსა და სამოქალაქო საზოგადოების ნაწილს თავი „ქორთიარდ მარიოტში" მოუყარა.**

ცვლილებების გარეშე დემოკრატიის შენება შეუძლებელია, აღნიშნა **თემურ ნანეიშვილმა,** თუმცა ის ამ ცვლილებებში არ გულისხმობს რევოლუციასა და ხმაურიან გადატრიალებას. „ქართულ აკადემიაში" არ მალავენ სიმპათიას ირაკლი ალასანიასადმი, თუმცა აქვე აღნიშნავენ, რომ მათი თვითმიზანი ოპოზიციის გამარჯვებაა და არა უშუალოდ ალიანსის ლიდერის მერად გასვლა.

**ნუკრი ქანთარია** ამბობს, რომ ყველა პარტიის კანდიდატმა უნდა დაძლიოს ამბიცია, და ერთ კანდიდატზე შეთანხმდნენ, თუმცა იქ მსხდომ საზოგადოებას ამის ნაკლებად სჯეროდა.

**გელა ნიკოლაიშვილის** აზრით, მთავარია არა ის, თუ ვინ გაიმარჯვებს, არამედ ის, ვინ დამარცხდება — ხელისუფლება თუ ოპოზიცია. ოპოზიციის რეალური შანსი ძალიან მცირეა, მაგრამ თუ ერთიანი კანდიდატი ეყოლებათ, შეიძლება მინიმალური იმედი მაინც იყოს, — აღნიშნა მან.

რაც შეეხება თავად კანდიდატებს, **სოსო ცისკარიშვილი** მიიჩნევს, რომ ყველა კანდიდატი არ არის დამოუკიდებელი თავის არჩევანში, პარტიული პასუხისმგებლობის გამო, ხოლო ზოგს სიჯიუტის გამო არ ექნება ასეთი ნაბიჯის გადადგმის სურვილი. თანაც საზოგადოებისთვისაც მნიშვნელოვანია, რომ ეს საერთო კანდიდატი იყოს მისაღები, რეალური და არა თავსმოხვეული და დაძალებული.

შედარებით კრიტიკული დამოკიდებულება აქვს **მამუკა არეშიძეს** ზოგადად არჩევნების მიმართ: „30 მაისი მხოლოდ არჩევნების დღე არ იქნება. მას შეიძლება მოჰყვეს ცუდი 1 ივნისი. ამ ხიფათის გამომწვევი კი ოპოზიცია არა, მაგრამ შესაძლოა იყოს „მე-5 კოლონა", რომელიც ხელისუფლებას ჰყავს ე. წ. ოპოზიციის სახით. ამიტომ ფრთხილად უნდა ვიყოთ. ვთქვათ, რომ შედგა თუნდაც ოპოზიციური გაერთიანება, არის კი ასეთ შემთხვევაში გამარჯვების შანსი?! ამის შემდეგ სრულებითაც არ არის გამორიცხული მოხდეს ის, რაც ბიშკეკში მოხდა. კარგია ერთიანობა, მაგრამ თუნდაც საერთო კანდიდატის არყოლის შემთხვევაში ოპოზიციაში მაინც არის საჭირო მეტი ემოციური მუხტი, დღეს კი ეს არ იგრძნობა".

**„ქართული აკადემია" არჩევნებამდე კიდევ ერთ ასეთ შეხვედრას გეგმავს, სადაც უკვე კონკრეტულად დაასახელებენ იმ კანდიდატთა გვარებს, რომელთაც დაბალი რეიტინგი ექნებათ არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე და მოუწოდებენ, დათმონ პოზიციები ყველაზე რეიტინგული ოპოზიციური კანდიდატის სასარგებლოდ.**

**ნია ფიფია**

**პრესკონფერენცია**




# წინასაარჩევნო მონიტორინგის პირველი შუალედური ანგარიში

**გუშინ არასამთავრობო ორგანიზაციამ „ახალი თაობა — ახალი ინიციატივა" წინასაარჩევნო მონიტორინგის პირველი შუალედური ანგარიში გამოაქვეყნა. სწორედ ამასთან დაკავშირებით ორგანიზაციის თავმჯდომარემ მიხეილ დევდარიანმა პრესკონფერენცია გამართა. დაფუძნების დღიდან ორგანიზაციის საქმიანობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების ხელშეწყობა წარმოადგენს. „ახალი თაობა — ახალი ინიციატივა" აქტიურად არის ჩართული 2010 წლის 30 მაისს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო პროცესის მონიტორინგში, იგეგმება არჩევნების დღის დაკვირვება და არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგი.**

გამოქვეყნებული ანგარიში წარმოადგენს ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს, რომელიც ეხება საარჩევნო სიების მონიტორინგის გამარტივებასა და ნდობის გაზრდას ამომრჩეველთა სიების მიმართ. ასევე საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების პროცესის შეფასებასა და რეკომენდაციებს.

ცესკოში სისტემატურად იმართება შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და ხდება საზოგადოების ინფორმირება მიმდინარე პროცესების შესახებ. ასევე იმართება ყოველკვირეული შეხვედრები კარდაკარში მონაწილე პარტიებთან. საზოგადოების ინტერესი თვითმმართველობის არჩევნებისადმი ყოველთვის შედარებით ნაკლებია, ვიდრე საპრეზიდენტო ან საპარლამენტო არჩევნებისადმი, რაც ამომრჩეველთა დაბალი აქტივობით დასტურდება. აქედან გამომდინარე, აუცილებელია საზოგადოების ინფორმაციისა და ინტერესის გაზრდისთვის მაქსიმალური ღონისძიებების გატარება, როგორც ცესკოს, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების მხრიდან.

„ახალი თაობა — ახალი ინიციატივა" დადებითად აფასებს ცესკოს სტრატეგიას და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, თუ როგორ მოახერხებს ცესკო დასახული მიზნების განხორციელებას. რაც შეეხება „ახალი თაობა — ახალი ინიციატივის" რეკომენდაციებს, ის 2010 წლის არჩევნებისთვის სამართლიანად ჩატარების მიზნით შემუშავდა. კერძოდ, რეკომენდაციები ეხება საარჩევნო სიების მონიტორინგის გამარტივებასა და ნდობის გაზრდას ამომრჩეველთა სიების მიმართ. რეკომენდაციები კი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ასეთია: საჯარო გახდეს საქართველოს მოქალაქის ამომრჩეველთა ერთიან სიაში რეგისტრაციის თარილი; ყველა ამომრჩეველს აქვს უფლება, იცოდეს ვინ არის რეგისტრირებული მის მისამართზე; ამომრჩეველთა ერთიანი სიის უზრუნველყოფისთვის სასურველია, საარჩევნო უბნებმა მუშაობა დაიწყონ არჩევნებამდე არაუგვიანეს 45 დღისა; ცესკომ ცვლილებები უნდა შეიტანოს საუბნო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმის ფორმატში. პრესკონფერენციაზე ასევე განხილული იყო „ახალი თაობა — ახალი ინიციატივა" საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების პროცესის შეფასება. ორგანიზაცია 2010 წლის 20-21 მარტს დააკვირდა ამ პროცესს, რომელსაც მონიტორინგის საფუძველზე, მცირე ხარვეზების მიუხედავად დადებითად აფასებს. აღსანიშნავია ისიც, რომ „ახალი თაობა — ახალი ინიციატივა" ითვალისწინებს ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების მნიშვნელობას და მუდმივად თანამშრომლობს ცესკოსთან და აწვდის პროცესის გაუმჯობესების საჭირო რეკომენდაციებს.

არასამთავრობო ორგანიზაცია მალე წინასაარჩევნო მონიტორინგის მეორე შუალედურ ანგარიშს წარადგენს, სადაც წარმოდგენილი იქნება საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაცია, საოლქო საარჩევნო კომისიების საქმიანობა — არჩევნებისთვის მზადება, ცესკოს მუშაობა, პოლიტიკური ფონდის ანალიზი, პოლიტიკური პარტიების მიერ 2010 წლის თვითმმართველობის არჩევნებისთვის ამომრჩეველთა ერთიანი სიის მონიტორინგის მიზნით ჩატარებული კარდაკარის შეფასება და სხვა აქტუალური საკითხები.

**ხატია მუსერიძე**

# „იმედის" ჟურნალისტთა საჩივარი

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის" ხელმძღვანელმა ლია მუხაშავრიამ გუშინ პრესკონფერენცია გამართა.**

პრესკონფერენცია შეეხებოდა „იმედელების" საჩივარს, რომელიც ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში გაიგზავნა და ამ სასამართლომ უკვე წარმოებაში მიიღო.

ტელეკომპანია „იმედის" ყოფილმა ჟურნალისტებმა გიორგი ახვლედიანმა, ანა გოჩაშვილმა, ჯონი კალანდაძემ, ირაკლი მოსეშვილმა, თენგიზ მეზურნიშვილმა, გიორგი რუხაძემ, თეა სიჭინავამ, ნინო საყვარელიძემ, დიანა ტრაპაიძემ და ნინო ცხვარაშვილმა როგორც 2007 წლის 7 ნოემბრის ტელეკომპანია „იმედის" დარბევისას დაზარალებულმა ჟურნალისტებმა, უფლებების დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით ევროპის სასამართლოს მიმართეს.

ამასთან, მოსარჩელე მხარე სტრასბურგში ასაჩივრებს საქართველოს პროკურატურის არაეფექტიან გამოძიებას და ევროკონვენციის მკაცრად გარანტირებული უფლებების დარღვევას, რაც მდგომარეობს მათი წამებითა და არაადამიანური მოპყრობით პირადი ცხოვრებისა და ინფორმაციის თავისუფლების დარღვევაში, — განაცხადა ლია მუხაშავრიამ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „იმედში" სპეცრაზმის შეჭრის საქმეზე პროკურატურაში „გამოძიება" დაწყებულია, მაგრამ დღემდე არც ერთი ჟურნალისტი არ დაუკითხავთ.

ლია მუხაშავრიას განცხადებით საჩივრების ძიება კვლავაც გაგრძელდება და ორგანიზაცია დაეხმარება ყველა ჟურნალისტს, ვინც მიიჩნევს, რომ მისი უფლებები შეილახა, ყოველი საჩელი ინდივიდუალურია, ეტაპობრივად დაიწერება და მნიშვნელობა არ ექნება, რომელი ჟურნალისტი როდის მიმართავს ორგანიზაციას დახმარებისთვის.

**ეკა მაშიანოვა**

**აქტუალური თემა**

# ჟურნალისტთა უსაფრთხოებასა და დაცვაზე იმსჯელეს...

**„ვარდების რევოლუციის" შემდეგ, აქტუალური თემა მედიის უსაფრთხოება და დაცვაა. სახელმწიფო მოხელეები ხშირად სიამაყით აღნიშნავენ საჯაროდ, რომ საქართველოში დემოკრატიული წინსვლებია, რაც მედიის თავისუფლებასთან პირდაპირ კავშირშია. რეალურად კი სხვა ვითარებაა, გრძელდება ჟურნალისტებზე ზეწოლა პირდაპირ ან შეფარულად, ისინი იდევნებიან, ხშირია მათი ცემის ფაქტებიც, იხურება გაზეთები და სატელევიზიო გადაცემები.**

სწორედ ამ თემებზე გაიმართა ორდღიანი შეხვედრები სასტუმრო „თბილისი მარიოტში". განხილვის თემა: „მედიის უსაფრთხოება და დაცვა" იყო. ეს პროექტი ევროსაბჭოს ორგანიზატორობით ჩატარდა. ღონისძიების მთავარი მიზანია ამ მდგომარეობიდან გამოსავალი გზების პოვნა, თუ როგორ შეიძლება ხელი შეეწყოს ინფორმაციის თავისუფლად გავრცელებას სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში ევროსაბჭოს სტანდარტების შესაბამისად.

არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებმა იმსჯელეს ჟურნალისტთა უსაფრთხოებასა და მათ დაცვაზე, აზრის გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ შექმნილ გამოწვევებზე.

ევროპელ ჟურნალისტთა ასოციაციის წარმომადგენელი **ვილიამ ჰოლსი:** „ევროსაბჭოს ერთ-ერთი პრიორიტეტია კანონის უზენაესობა, სასამართლოს ობიექტურობა, ადამიანის უფლებების დაცვა და მედიის თავისუფლება. დღეს ჟურნალისტიკა დგას დიდი გამოწვევის წინაშე, აუცილებელია ჟურნალისტები დასხდნენ და ისაუბრონ საჭირბოროტო საკითხებზე. დემოკრატია ჟურნალისტს აძლევს თავისუფლად მუშაობის საშუალებას. რაც უფრო მაღალია პროფესიონალიზმი, მით უფრო მეტი რამის გაკეთება შეიძლება საზოგადოებისთვის.

„ვარდების რევოლუციის" შემდეგ საქართველოში მიმდინარეობს რეფორმები, რომელიც უზრუნველყოფს მედიის თავისუფლებას. სახელმწიფომ თავისთავზე აიღო საკანონმდებლო საკითხების მოგვარება. მაგრამ ჯერ არ არის გამოკვეთილი, რა გზებით შეიძლება მოხდეს ეს. სხვა შემთხვევაში რთული იქნება მედიის თავისუფლებაზე ლაპარაკი. რა არის მიზეზი, რომ ქვეყანაში მედიის თავისუფლება არ არის და გრძელდება მასზე ზეწოლა სხვადასხვა სახით? ხშირია ჟურნალისტებზე თავდასხმის ფაქტები სხვადასხვა ფორმით, თუმცა სახელმწიფო მოხელეები ამბობენ, რომ ჟურნალისტები დაცულები არიან. ევროსაბჭო ვერ მოახდენს პირდაპირ ზეწოლას ხელისუფლებაზე, თუ ის სახელმწიფო ევროსაბჭოს წევრი არ არის, ხოლო თუ წევრია, შეუძლია მოთხოვოს პასუხი. ძლიერი მედია ძლიერი სახელმწიფოს საწინდარიაო", — დასძინა ბატონმა ჰოლსიმ.

**თინათინ ბორცვაძე**

**SIC!**

# მსახიობის ცხედარი იპოვეს



**გუშინ დადასტურდა, რომ მარჯანიშვილის ქუჩის 16 ნომერში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ლიფტის შახტში სოხუმის თეატრის მსახიობ მიხეილ ქვაჭრელიშვილის ცხედარი იპოვეს.**

**როგორც შემთხვევის ადგილზე მყოფმა მსახიობმა გივი ბერიკაშვილმა განაცხადა, ცხედრის ამოცნობა პირადობის დამადასტურებელი მოწმობით მოხერხდა.**

**ბერიკაშვილის თქმით, გარდაცვალებამდე მიხეილ ქვაჭრელიშვილი მასთან ხშირად მიდიოდა და ეუბნებოდა, რომ ტელეფონით ემუქრებოდნენ.**

**— ამბობდა, რა დავაშავეო. მან იცოდა, ვინც ურეკავდა. მე ვერავის ხელს ვერ დავადებ, — თქვა გივი ბერიკაშვილმა, რომელსაც თვითმკვლელობის ვერსიაზე საუბარი უჭირს.**

**მიხეილ ქვაჭრელიშვილი არ იყო დეპრესიული ადამიანი. უწყინარი კაცი იყო. გამოძიება დაადგენს, ლიფტის შახტში გარდაცვალების შემდეგ არის თუ არა ჩაგდებული. მიზეზს ვერ ვპოულობ, რატომ უნდა მოეკლათ, — განაცხადა გივი ბერიკაშვილმა.**

**მიხეილ ქვაჭრელიშვილი სახლიდან 4 აპრილს გავიდა და მას შემდეგ არავის უნახავს. საკონტაქტო ნომრებიც გამორთული ჰქონდა. 5 აპრილს თეატრში რეპეტიციაზე უნდა მისულიყო, თუმცა არ გამოჩენილა. უცნობია, რა გახდა მსახიობის გაუჩინარების მიზეზი.**

**მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.**

**ჯი-ემ-ენი**

არჩევნები



***რატომ ვერ შეთანხმდა ოპოზიცია თბილისის მერობის ერთიან კანდიდატზე, გამარჯვების რა შანსები აქვთ ადგილობრივ არჩევნებში მონაწილე ოპოზიციურ გაერთიანებებს, „ინტერპრესნიუსი“ ფსიქოლოგ მარინა ჩიტაშვილს ესაუბრა.***

# „ოპოზიციის შედეგები ბევრად იქნება იმაზე დამოკიდებული, ვის დაუჭერს მხარს „ლეიბორისტებისა“ და „ფორუმის“ ელექტორატი“

**— ქალბატონო მარინა, თქვენი აზრით, რატომ ვერ შეძლო ოპოზიციამ „გამარჯვების ერთიან ფორმულასა“ და მერობის ერთიან კანდიდატზე შეთანხმება?**

— ამას შეიძლება ორი მიზეზი ჰქონდეს. ერთია, ინსტიტუციურ დონეზე ოპოზიციის, ფაქტობრივად, პოლიტიკური უმწიფრობა, რომელსაც არ შეუძლია მიაღწიოს შეთანხმებას კონკრეტული მიზნის მისაღწევად; მეორე — პიროვნული მიზეზები, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში შეიძლება იყოს ძალიან მრავალფეროვანი.

ჩემი აზრით, ოპოზიციის შეუთანხმებლობა პიროვნული მიზეზების გამო ვერ მოხერხდა. პოლიტიკური პარტიების განცხადებები, რომ მათ აქვთ განსხვავებული შეხედულებები, როგორ უნდა მოეწყოს ქვეყანა, მართალი გითხრათ, მერის არჩევნებთან მიმართებაში მაინცადამაინც დიდად დამაჯერებლად არ ჟღერს.

მერი არ არის პოლიტიკური ფიგურა, მერის არჩევნების პოლიტიკური ბრძოლის არენად გადაქცევა და ამ პროცესში კომპრომისზე წაუსვლელობა, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებულად მეჩვენება.

**— რამდენად საფუძვლიანად მიიჩნევდით მტკიცებას, რომ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ქაოტურ მოძრაობებს მსოფლმხედველობრივი დეფიციტი განაპირობებს?**

— გააჩნია, რას ვიგულისხმებთ მსოფლმხედველობრივ დეფიციტში. ჩემი აზრით, საქართველოში ძალიან ბევრი პოლიტიკური პარტიაა, რომელიც, რეალურად, საქართველოში არსებულ არც ერთ სოციალურ ფენას არ წარმოადგენს. ოპოზიციურ პარტიებს მხოლოდ და მხოლოდ ლოზუნგური ტიპის პარტიული მუშაობა ახასიათებთ. ამგვარი საქმიანობა მიმართულია მიმდინარე მოვლენებზე რეაქციისკენ და აბსოლუტურად არ არის გამიზნული არც მომავალზე, თუნდაც აწმყოში კონკრეტული პოლიტიკური ქმედებების განხორციელებაზე. აქედან გამომდინარე, ვიდრე ვიტყოდეთ, რომ მსოფლმხედველური მრავალფეროვნება არსებობს, ჩემი აზრით, ეს მრავალფეროვნება სიტყვების იქეთ არ მიდის, ვინაიდან მას რეალური მხარდამჭერი არა ჰყავს.

**— ფაქტია, რომ „ალიანსისა“ და „ეროვნული საბჭოს“ საგარეო კურსი ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. უფრო გასაკვირი იქნებოდა, ისინი არჩევნებში ერთიანი კანდიდატით რომ გამოსულიყვნენ...**

— რა უფლება აქვს ქალაქის მერს, იმსჯელოს ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე. განაცხადი იმის შესახებ, რომ ესა თუ ის პოლიტიკური პარტია აცხადებს ქალაქის მერობაზე პრეტენზიას, გულისხმობს სრულიად სხვა ტიპის საქმიანობების წინა პლანზე წამოწევას, ვიდრე, მაგალითად, საგარეო პოლიტიკის ვექტორია. შესაბამისად, როცა საგარეო პოლიტიკის ვექტორი ხდება სპეკულაციის ან ამომრჩევლის გადაქაჩვის ძირითადი თემა, ეს უკვე ნიშნავს, რომ პოლიტიკური პარტიები მოდიან არა ქალაქის მერობის დასაკავებლად, არამედ სრულიად სხვა მიზნით. ქალაქის მერობაზე პრინციპული შეთანხმება ყველა პოლიტიკურ პარტიას შორის ნამდვილად შეიძლება ყოფილიყო მიღწეული და აქ არაფერ შუაშია „ალიანსსა“ და „ეროვნულ საბჭოს“ შორის საგარეო პოლიტიკის კუთხით განსხვავებები.



**— ეტყობა, ყველას კარგად ახსოვს, რომ პრეზიდენტობამდე სააკაშვილმა თბილისის არჩევნები მოიგო. აშკარაა, რომ არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიის ლიდერები იმავე გზის გავლას გეგმავენ. პოლიტიკურ წრეებში დაუფარავად საუბრობენ, რომ ის ვინც თბილისის მერი გახდება, პრეზიდენტობისთვის საუკეთესო სასტარტო პოზიციები ექნება...**

— პოლიტიკაში ასეთი ერთმნიშვნელოვანი მიზეზ-შედეგობრივი კავშირები არ არსებობს. ეს არის, ასე ვთქვათ, კონკრეტული შემთხვევის განზოგადება. ლუჟკოვი ბევრად უფრო დიდი ხანია პოლიტიკაში, მოსკოვი სულ ცოტა ოთხჯერ აღემატება მთლიანად საქართველოს, მოსკოვი კი რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური ცენტრია, მაგრამ ის არ გამხდარა რუსეთის პრეზიდენტი. თქმა იმისა, რომ უგულავა ან სხვა ვინმე, გახდება რა თბილისის მერი, 2013 წელს აუცილებლად გახდება საქართველოს პრეზიდენტი, სულ ცოტა, ზედმეტად ოპტიმისტურ პროგნოზად მეჩვენება. ამგვარ მტკიცებას არანაირი ლოგიკური დასაბუთება არა აქვს.

**— უკვე ცნობილია, რომ ოპოზიციიდან არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ — ალასანია-სუბარის, ჭანტურია-გრიგოლიას, ძიძიგური-დავითაშვილის წყვილები, ასევე — თოფაძე, იაკობაშვილი, ივანიშვილი და სხვები. თქვენი აზრით, არჩევნებში გამარჯვების რა შანსები აქვთ „ალიანსს“, „ეროვნულ საბჭოს“, „ქრისტიან-დემოკრატებს“ და სხვებს ?**

— გააჩნია, როგორ წარმართავენ ისინი საარჩევნო კამპანიას. არჩევნებში ოპოზიციური პარტიების შედეგები ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, ვის მხარეს დადგებიან ის ოპოზიციური ძალები, რომლებიც არჩევნებში საერთოდ არ მონაწილეობენ, მაგრამ ოპოზიციურ ფლანგზე საკმაოდ სოლიდურად გამოიყურებიან. უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობ “ეროვნულ ფორუმსა“ და „ლეიბორისტებს“.

დღეისთვის, საქართველოში არჩევნებში სოლიდურად გამარჯვების შანსი „ლეიბორისტულ შრომის პარტიას“ აქვს. ვინ რას აკეთებს, ეს სხვა თემაა. ამის თქმის საშუალებას იძლევა „ლეიბორისტების“ მხარდამჭერი მოქალაქეების მსოფლმხედველური, პოლიტიკური იდეოლოგია და პოლიტიკური აქტივობის სოციალური საფუძველი. სერიოზულ პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბდა „ეროვნული ფორუმიც“. ეს ნიშნავს, რომ თუ „ლეიბორისტები“ და „ფორუმი“ არჩევნებში ოფიციალურად ნეიტრალიტეტს შეინარჩუნებენ, ჩემთვის ძალიან სამწუხაროდ, უმეტეს ხმებს წაიღებენ „ქრისტიან-დემოკრატები“. ვიმეორებ, თუ ვინ მოიგებს არჩევნებს ოპოზიციური ძალებიდან, ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, ვის დაუჭერენ მხარს „ლეიბორისტებისა“ და „ფორუმის“ მხარდამჭერები. როგორადაც არ უნდა იყოს, ფაქტია, რომ ოპოზიცია ნებისმიერ შემთხვევაში ერთმანეთს წაართმევს ხმებს და ერთმანეთს დააზარალებენ. სწორედ ამიტომ ვამბობდი, რომ არსებობს პრაგმატული მიზანი, რომლისთვისაც შესაძლებელი უნდა ყოფილიყო ოპოზიციის გაერთიანება.

**— მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა თბილისის მერობაზე უგულავას მხარი ღიად დაუჭირა, წერტილი დაესვა ჭორებს, თითქოს მერობის კანდიდატურასთან დაკავშირებით სახელისუფლო გუნდში აზრთა სხვადასხვაობაა. თქვენი აზრით, აქამდე რატომ არ დაასახელა ხელისუფლებამ მერობის თავის კანდიდატად გიგი უგულავა და ვინ შეიძლება დაასახელოს ხელისუფლებამ საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატად?**

— ხელისუფლებისთვის არანაირი პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იქნება საკრებულოს თავმჯდომარე. ყველა შემთხვევაში, წამყვანი ფიგურა იქნება გიგი უგულავა, რომლის ხელდასხმა პრეზიდენტის მიერ განხორციელდა. ის მყარი ამომრჩეველი, რომელიც „ნაციონალურ მოძრაობას“ ჰყავს, არჩევნებში მხარს უგულავას დაუჭერს. უგულავას მხარს სააკაშვილის მხარდამჭერები დაუჭერენ და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, სააკაშვილი უგულავას დაასახელებდა, თუ ვინმე — სხვას.

**კობა ბენდელიანი**

საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისია

# დისკუსია განუსაზღვრელი ვადით გრძელდება...

**საზოგადოებრივმა საკონსტიტუციო კომისიამ საზოგადოებას განსახილველად ახალი კონსტიტუციის საკუთარი ვარიანტი შესთავაზა. ერთწლიანი მუშაობის შედეგად ახალი რედაქციის გავრცობილი კონცეფცია შეიქმნა.**

კომისიის ერთ-ერთი წევრის ლია მუხაშავრიას თქმით, მათი სურვილია, რომ მთელი საზოგადოების მონაწილეობით შეიქმნას ნამდვილი კონსტიტუცია, რომელსაც ყველანი დაიცავენ.

კომისიის წევრების აზრით, დღეს მოქმედ კონსტიტუციაში ბალანსი უხეშად არის დარღვეული და ეს, ძირითადად, 2004 წლის თებერვალში შეტანილმა ცვლილებებმა განაპირობა, რომელთა მიხედვითაც, იურისტთა დასკვნით, მკვეთრად გაძლიერდა პრეზიდენტის ძალაუფლება, ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი შტოებისთვის გარკვეული ფუნქციების ჩამორთმევის ხარჯზე.

კომისიის წევრები იმედოვნებენ, რომ კონსტიტუცია და საკანონმდებლო ბაზა ხელისუფლების განშტოებათა შორის ძალაუფლების ბალანსს უზრუნველყოფენ. უნდა შეიქმნას ისეთი საარჩევნო სისტემა, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს ადმინისტრაციული რესურსის არამართლზომიერი გამოყენების, ამომრჩეველთა მოზიდვის, დაშინებისა და არჩევნების შედეგების გაყალბების შესაძლებლობას. კონსტიტუცია მარტო პოლიტიკურ ძალთა შეთანხმების კომპრომისის საგანი კი არ უნდა იყოს, არამედ — საზოგადოებრივი თანხმობის შედეგი.

**„...სანამ ქვეყანაში საპრეზიდენტო ან ნახევრადსაპრეზიდენტო მმართველობა იქნება, ვერ ავცდებით მმართველობის ავტორიტარულ ფორმას, სახელმწიფო სტრუქტურების ფაქტობრივ პოლიტიზაციას, საკუთრების მუდმივ გადანაწილებას, თავისუფალი მედიისა და ბიზნესის დატერორებას, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა უგულებელყოფას და, რაც მთავარია, ხელისუფლების რევოლუციური გზით შეცვლას.**

**ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევა შესაძლებელია სახელმწიფო მოწყობის ისეთი მოდელით, რომელიც უფრო მეტად შეუწყობს ხელს ეროვნულ კონსოლიდაციას, ეკონომიკურ განვითარებასა და საზოგადოებრივი ცხოვრების ლიბერალურ-დემოკრატიულ პრინციპებზე თანდათან გადაყვანას. ეს კი შეუძლებელია პოლიტიკურ ცხოვრებაში ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ძალთა რეალური ჩართვის, სტაბილური საკანონმდებლო ბაზისა და პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელი სტაბილური მთავრობის გარეშე. ამასთან, სრულად უნდა იქნეს დაცული ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, რაც გულისხმობს ხელისუფლების განშტოებათა უფლებამოსილებების გამიჯვნას, ქმედით ურთიერთკონტროლს (ურთიერთშეკავებას) და გაწონასწორებას.**

**ჩვენი აზრით, ასეთ სისტემას წარმოადგენს საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელი, ოღონდ მისი ისეთი ვარიაცია, რომელშიც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფილია მთავრობის სტაბილურობა, ხოლო, მეორე მხრივ, პოლიტიკურ ოპოზიციას რეალური ბერკეტები გააჩნია ხელისუფლების საქმიანობაზე ქმედითი და დროული კონტროლის განსახორციელებლად. ამასთან, აუცილებელია ისეთი საარჩევნო სისტემის შემოღება, რომელიც მოგვცემს ამომრჩეველთა ნების შესატყვისი შედეგის მიღებისა და, შესაბამისად, ქვეყანაში მოქმედი ძირითადი პოლიტიკური ძალების პარლამენტში წარმოდგენის შესაძლებლობას.**

**სრულიად განსაკუთრებულ მიდგომას და გააზრებას საჭიროებს სასამართლო ხელისუფლება, რომელიც უშუალოდ არ მონაწილეობს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყოველდღიურ „ბატალიებში“, მაგრამ მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის ხასიათსა და სტაბილურობას,“** — ნათქვამია საგანგებო განცხადებაში.

საზოგადოებრივი კომისიის მიერ შემუშავებული მოდელი ერთმნიშვნელოვნად უჭერს მხარს საპარლამენტო რესპუბლიკას. კომისიის წევრის მინდია უგრეხელიძის განმარტებით, იგულისხმება საპარლამენტო რესპუბლიკის ისეთი ვარიაცია, რომელშიც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფილია მთავრობის სტაბილურობა, ხოლო, მეორე მხრივ, პოლიტიკურ ოპოზიციას რეალური ბერკეტები აქვს ხელისუფლების საქმიანობაზე ქმედითი და დროული კონტროლის განსახორციელებლად.

აღმასრულებელი ხელისუფლების შექმნაზე მთლიანად პასუხისმგებელია პარლამენტი, მაგრამ მას შეუძლია უნდობლობის გამოცხადებით აღმასრულებელი ხელისუფლების, ანუ მთავრობის გადაყენებაც, ოღონდ გადაყენება მხოლოდ იმ პირობით, რომ, იმავდროულად, იქნება შექმნილი ახალი მთავრობა. ანუ არც ერთი დღე ქვეყანაში არ იქნება უმთავრობოდ, — განმარტავს ვახტანგ ხმალაძე.

საზოგადოებრივი კომისიის მიერ წარმოდგენილმა პროექტმა გამოიწვია მოქმედი კონსტიტუციის იმ ნაწილების არსებითად შეცვლა, რომლებიც ეხება პარლამენტს, პრეზიდენტსა და მთავრობას, აგრეთვე კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის წესს. რადიკალური ცვლილება განიცადა სახალხო დამცველის ინსტიტუტმა, დასახელებიდან დაწყებული, უფლებამოსილებით დამთავრებული.

უნდა შეიქმნას სახალხო ქომაგის ინსტიტუტი და სახალხო ქომაგი აღიჭურვოს უფრო მეტი უფლებებით. მას უნდა ჰქონდეს არა მარტო საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება, ანდა მარტო დაჯარიმების უფლება იმ პირებისა, რომლებიც არ ასრულებენ სახალხო ქომაგის მოთხოვნებს, არამედ მას უნდა ჰქონდეს თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხის დაყენების უფლებაც იმ პირებისა, რომლებიც ადამიანის უფლებებს არღვევენ.

იურისტ ლია მუხაშავრიას გარდა, საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის შემადგენლობაში არიან: ოთარ ზენიძე, ოთარ გამყრელიძე, ეკატერინე გასიტაშვილი, ნინო გვენეტაძე, გიორგი ინაური, ვალერიან ლორია, ლია მუხაშავრია, მერაბ ტურავა, მინდია უგრეხელიძე, ზვიად ქორიძე, ზაქარია ქუცნაშვილი, ნინო ციხისთავი, ვახტანგ ძაბირაძე, ვახტანგ ხმალაძე, გიორგი ხუციშვილი, ზურაბ ჯიბღაშვილი, ზაურ ჯინჯოლავა.

დისკუსია საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის მიერ შექმნილი კონცეფციის პრინციპებზე განუსაზღვრელი ვადით გაიხსნა.

კონცეფციის ძირითადი პრინციპები მისაღებია „ეროვნული ფორუმისთვის“, „ალიანსი საქართველოსთვის“, „ეროვნული საბჭოსთვის.“

კონსტიტუციის კანონპროექტის პარლამენტში ინიცირებისათვის, 200 ათასი ამომრჩევლის ხელმოწერა მაინც სჭირდება.

**თამარ შაიშმელაშვილი**

ქალაქი

***რუსთავი მხოლოდ რიგითი ქალაქი არ არის. ის ქვეყნის აღმოსავლეთის კარიბჭე იყო საქართველოს ისტორიის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. მურვან ყრუმ ნაცარტუტად აქცია, დრომ და საუკუნეებმა ნანგრევებად მიაძინა ჯაგნარში...***

***მაგრამ განგებამ ბოლომდე არ გაწირა: სამი ასწლეულის შემდეგ, გასული საუკუნის ორმოციანი წლებიდან, ხელახლა დაიწყეს მისი აღორძინება.***

***ალბათ უფალმა შთააგონა ბრძენ ქართველს იოსებ სტალინს, რომ აქ აშენებულიყო მაშინდელ საბჭოთა კავშირში ერთადერთი და უნიკალური სრული მეტალურგიული ციკლის ქარხანა. ის 5 ათასი „ოცდაექვსიანელად“ წოდებული პირტიტველა ჭაბუკიც გადაურჩა მრისხანე მეორე მსოფლიო ომში ფიზიკურ განადგურებას და გამოეშურა ტრამალზე, სადაც შრომითი გმირობის უბადლო მაგალითი უნდა ეჩვენებინა, არა მარტო ფერფლიდან აღედგინა ნაქალაქარი, თანამედროვე ინდუსტრიის მეჭირნახულეც გამხდარიყო. მათ ჩვენი დიდი წინაპრების — ხალიბთა მემკვიდრეობა დააკისრა განგებამ და ეს არ იყო პატარა საქმე საქართველოსთვის. აკი სწორედ ამ თაობამ შექმნა ქართული მეტალურგიის ღირსეული სკოლა. და აი, წელს 10 აპრილს 60 წელი შესრულდა პირველი ქართული ფოლადის გამოშვებიდან. შემდეგ აშენდა და აშენდა ქიმიური, თუჯსასხმელი, ლითონკონსტრუქციების, ამწემშენებელი, ცემენტის და კიდევ სხვა მრავალი, სულ ორმოცდახუთამდე ქარხანა და მსხვილი სამრეწველო საწარმო.***

# დიდი რუსთაველი რუსთავს უბრუნდება!

საუბედუროდ, ამ ორი ათეული წლის წინათ დაიწყო რუსთავის ნგრევა, გაიძარცვა და განადგურდა ბევრი უნიკალური საწარმო, რომელთა პროდუქციას დიდი გასავალი ჰქონდა საზღვარგარეთ და ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის გარანტიც იყო. მაგალითად, უნიკალური „ქიმიური ბოჭკო“ რომ არ მოეშალათ, დღეს იქ სულ ცოტა 3 ათასი ადამიანი იმუშავებდა, ხოლო მისი პროდუქცია მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი იქნებოდა. ანალოგიური ბედი გაიზიარა ათობით სხვა საწარმომ.

— ბევრს ეგონა, რუსთავი ველარ გაუძლებდა კატაკლიზმებს, მაგრამ ჩვენ არათუ შევძელით მისი გადარჩენა, არამედ ის დღითი დღე უფრო კეთილმოწყობილი და თანამედროვე



ხდება, სასიკეთოდ ვუცვლით იერსახეს, — გვეუბნება რუსთავის ახალგაზრდა მერი **მამუკა ჩიქოვანი,** რუსთავში დაბადებული და გაზრდილი, საკუთარ სახლსა და თანამოქალაქეებზე უზომოდ შეყვარებული კაცი.

მართლაცდა, უცხო იქნება ეს თუ შინაური, არ შეიძლება არ აღფრთოვანდეს იმ განახლებული იერსახით, რომელიც ქალაქმა ამ ორიოდე წლის წინათ შეიძინა. მათ შორიდან ეგებება დიდი შოთა რუსთაველის ამაყად შემართული ძეგლი, ქალაქი თავს იწონებს თანამედროვე გამზირებით, მოასფალტებული და კეთილმოწყობილი ქუჩებით, ლამაზი გაზონებით, ათასფრად მოციმციმე ლამპიონებით, მწვანე ნარგავებით.

ჩემი პირველი კითხვაც ამით დაიწყო...

— ეს დიდი საქმის მხოლოდ დასაწყისია. ძირეული ძვრები ჯერ კიდევ წინაა. მთავარი გამზირი, როგორც სავიზიტო ბარათი, პირველ რიგში კეთილმოეწყო. ამას აქვს თავისი პრაქტიკული მნიშვნელობა და უდავოა, ჩვენც განსაკუთრებული ძალისხმევა გავსწიეთ მის გასალამაზებლად. უცხოელი ბიზნესმენი, თუნდაც ქართველი საქმოსანი, ფეხს რომ შემოდგამს, მას უნდა დარჩეს დადებითი შთაბეჭდილება რუსთავსა და მის პოტენციალზე. რომ აქ სიცოცხლე დუღს და მიმართულია ნოვაციებისკენ, რომ ხალხი შემოქმედია და საუკუნის მაჯისცემასაც არა მარტო შევიგრძნობთ, თავისუფლად ვუწყობთ ფეხს. ვიღვწით მრავალმხრივ და ეს სწრაფვა უკეთესობისკენ აისახება არა მარტო ქალაქის იერსახეზე, ასევე მის ინფრასტრუქტურაზე, სოციალურ ფონზე, კულტურასა და ხელოვნებაზე. ჩემი სურვილია, ფეხი ავუწყოთ თანამედროვეობას.

**— რა იგულისხმება ძირეულ ძვრებში?**

— რუსთაველები ნუ ჩათვლიან, რომ მარტო ცენტრალური პროსპექტით შემოვიფარგლებით, რათა ჩვენი საქმიანობა მოჩვენებითი და ილუზიური იყოს. ქალაქის მრავალი უბანი იერსახეს შეიცვლის, წლეულს სარეაბილიტაციო სამუშაოები ბევრ ქუჩაზე გაგრძელდება. უკვე გაწერილია შიდა კვარტალების 26 მონაკვეთის გზის საფარის დაგება. წელს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ქალაქის ერთ-ერთ დიდ უბანს ჭყონდიდელის დასახლებას, რომელსაც აგერ 20 წელია, მშენებელთა ხელი არ გაჰკარებია. ერთი სიტყვით, ქალაქის კეთილმოწყობა სრული მასშტაბით გაიშლება. ეტაპობრივად განახლდება და კეთილმოეწყობა ყველა უბანი, მათ შორის კერძო დასახლებები, რომლებიც ბოლო დროს შემოგვემატა და იქ ჯერ კიდევ არაა თანამედროვე ქალაქისთვის შესაფერისი მოასფალტებული ქუჩები. ჩვენი ძალისხმევა მთლიანად რუსთავის კეთილდღეობისკენაა მიმართული და ამას ჩვენი მოქალაქეებიც გრძნობენ. ჩვენ მივდივართ ყველა სახლში, ვესაუბრებით მაცხოვრებლებს მათ პრობლემებზე და ვცდილობთ დავეხმაროთ ძირეულად გადაწყვეტაში. დღეს ყველაზე მწვავე პრობლემაა შენობა-ნაგებობების გადახურვა, რაც კოლოსალურ დანახარჯებთანაა დაკავშირებული და, ამდენად, მოქალაქეებს უჭირთ თანხის გაღება. მერია ამ სამუშაოებს საკუთარი თანხებით შეასრულებს. ასევე გამოიყოფა 3 ათასი ლარი თითოეული სადარბაზოს შიდა ფასადის განახლებისათვის, აღდგება ლიფტები, ყველა ეზოს ექნება კეთილმოწყობილი სასპორტო და საბავშვო მოედნები, რათა ადამიანებს შეექმნათ სრულყოფილი დასვენებისთვის საჭირო პირობები, ხოლო ახალგაზრდობას სპორტული გაჯანსაღების შესაძლებლობა და ამას ბოლომდე მივიყვანთ. ერთადერთი უმწვავესი პრობლემა, რაც რიგით რუსთაველს აქვს, ეს უმუშევრობაა. აი, მასთან ბრძოლის საშუალებებზე ფიქრი არის ამ ბოლო დროს ჩემი მიზანი.

**— არადა, ამ მხრივ, ყველაზე ნაკლებად რუსთავს უნდა გასჭირვებოდა. საქართველოს სხვა ქალაქებისგან განსხვავებით, ხომ რუსთავი თავიდანვე სამრეწველო ცენტრად ჩამოყალიბდა...**

— სრული ჭეშმარიტებაა. რუსთავის სამრეწველო საწარმოების თუნდაც 30 პროცენტი რომ შეგვენარჩუნებინა, დღეს არათუ ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების საწარმოებს, უცხოურ კომპანიებსაც გავუწევდით კონკურენციას ხარისხიანი პროდუქციით. საბედნიეროდ, მიუხედავად ყველა იმ უბედურებისა, რაც ქალაქს თავს დაატყდა, ჩვენ დღესაც გვაქვს ღირებული სამრეწველო პოტენციალი, მეტალურგიული კომბინატის მილსაგლინავი საამქროს ორ უნიკალურ აგრეგატზე რომ არაფერი ვთქვათ, რაც ასევე გამორჩეული იყო ყოფილ საბჭოთა სივრცეში, აქვე შემოგვრჩა მძლავრი აგლომერაციული კომპლექსიც, სადაც თუჯის წარმოების გარდა, როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, ჭიათურის მარგანეცის გადამუშავებაც შეიძლება, რაც ასევე ძვირადღირებული პროდუქციაა. ქვეყნის ქიმიურ ფლაგმან „აზოტში“, ხელის მცირე შევლების შემდეგ, კაპროლაქტამის წარმოების ამუშავებაც შეიძლება. იქვეა მანგანუმის ელექტროლიზის ორჯანგის წარმოებაც, საყოფაცხოვრებო მოხმარების ელემენტებისთვის დეფიციტური ნედლეულის მისაღებად, რისთვისაც ასევე ჭიათურის მანგანუმია ძირითადი ნედლეული. ასევე სხვა უკვე დაქცეული სამრეწველო საწარმოსა თუ სამშენებლო ობიექტების ტერიტორიებზე, გარდა საამქროთა კორპუსებისა, თითქმის ყველა ინფრასტრუქტურაა შენარჩუნებული მცირე ბიზნესის ასაღორძინებლად. ძირითადი პროდუქციის გარდა, იქ ფართო მოხმარების საქონელიც მზადდებოდა, რაც ახლა უცხოეთიდან შემოგვაქვს და, ვიყოთ გულწრფელნი, იაფი ქართული ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე, არცთუ დიდი ხარისხით გამოირჩევა. თუმცა შემოგვრჩა ქიმიური ქარხანა, ცემენტის წარმოება, რომელთაც, ასე თუ ისე გადაიტანეს ეკონომიკური კრიზისი...



**— რუსთავი მაინც მეტალურგიის ბაზაზე აღორძინდა. ჩვენ ვამაყობდით, რომ ქართველთა უძველესი ტომის — ხალიბთა მემკვიდრეები გავხდით, რკინის საიდუმლოს ფლობა და წარმოება გვერგო წილად, გვყავდა არათუ საბჭოთა კავშირში, მსოფლიოში აღიარებული პროფესიონალი მეტალურგები...**

— ღრმად მწამს, რომ კვლავაც გავაგრძელებთ იმ შორეული წინაპრების, ხალიბების, ასევე იმ „ოცდაექვსიანელების“ ტრადიციებს, რომლებმაც ქართულ მეტალურგიასა და რუსთავს ესოდენ გაუთქვეს სახელი. ბოლო დროს მეტალურგებმა წვრილსორტული საამქროს პროდუქცია გამოუშვეს, ფოლადსადნობი ღუმელებიც უკვე აამუშავეს, რაც მომავლის იმედს გვიღვივებს.

**— მაგრამ მხოლოდ ეს საამქრო კომბინატისთვის ძალიან უმნიშვნელოა...**

— გეთანხმებით, მთავარი მილსაგლინავი საამქროს უნიკალური აგრეგატებია. თქვენ უკეთ იცით იქ დამზადებული საჭაბურღილე და სანავთობე მილების ფასი. არათუ ყოფილ საბჭოთა კავშირში, საზღვარგარეთაც გადიოდა ჩვენი უნიკალური მილები. მე ახლახან შევხვდი ქარხნის მეპატრონეებს. ისინი აპირებენ მილსაგლინავის ამოქმედებას და ჩვენც, ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში, თვალყურს ვადევნებთ მათს საქმიანობას.

**— მაგრამ ამასობაში მთავარი, ქარხნის პროფესიონალი მუშა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი ხელიდან გვეცლება, თუ უკვე დაგვიანებულიც არაა...**

— სამწუხაროდ, უკვე რამდენი წელია, ქარხანაში თაობათა ცვლა არ შემდგარა, არადა, ძველი მეტალურგები ყოველთვის წვრთნიდნენ თავიანთ ახალგაზრდა შემცვლელებს. საბედნიეროდ, ავაღორძინეთ პროფტექნიკური სწავლება, რომლის ბაზაც გაგვაჩნია. თუ მეტალურგები და ქიმიკოსები გვერდში დაგვიდგებიან, ჩვენი ქალაქის ახალგაზრდები იქ დაეუფლებიან საჭირო სპეციალობებს.

**— არადა, უმუშევარი ახალგაზრდობა მომავლის გარეშე რჩება. მე ხშირად ვაწყდები ეზოებში, ბაღებში, ბუნებში როგორც ძველი, ისე ახალი თაობის „არყისტებს“. საუბედუროდ, ნარკომანიის სენიც შემოეჩვია ამ ჩვენს მომავალ თაობას...**

— ეს სამწუხარო რეალობაა. მერიასაც მწირი შესაძლებლობა აქვს, რომ ისინი სამსახურით უზრუნველყოს. ამიტომაც ვცდილობთ, მოვიზიდოთ მეტი ინვესტორი. საბედნიეროდ, რუსთავში კაპიტალდაბანდებებისთვის ჩინებული პირობებია, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, თუნდაც ყოფილი ქარხნებისა თუ სამშენებლო ობიექტების გადარჩენილი ინფრასტრუქტურა იძლევა საშუალებას, მინიმალური დანახარჯებით მოეწყოს თანამედროვე წარმოება. იქ ხომ ისევ დარჩენილია რკინიგზები, ელექტროგაყვანილობები, წყალი და საკანალიზაციო საშუალებები. რაც მთავარია, უნიკალური კორპუსები და შენობა-ნაგებობები. მთავარია, ინვესტორი მოვიდეს, სამუშაო ადგილები გაჩნდეს და ყოველმხრივ შევეცდებით, თითოეულ რუსთაველს მივცეთ უნარის გამოვლენის შანსი.

**— ახლახან ილია ჭავჭავაძის სახელობის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში დიდი სარემონტო სამუშაოები დაიწყეთ. თქვენმა წინამორბედმა კი ქალაქის 13 ბიბლიოთეკიდან 10 დახურა...**

— კულტურა, ხელოვნება, ჯანდაცვის სფერო ჩვენი უპირველესი საზრუნავია. ამ მხრივ ხომ დიდი ტრადიციები გვაქვს. თავის დროზე ანსამბლმა რუსთავმა, რუსთავის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა, ცალკეულმა ნიჭიერმა შემოქმედებმა ჩვენი ქალაქის სახელი შორს გაიტანეს.

შეძლებისდაგვარად ვცდილობთ, დავაფასოთ ნიჭიერება, გავზარდოთ ხელოვანი, შემოქმედი ადამიანების როლი საზოგადოების ცხოვრებაში. ჩვენ ყოველმხრივ ვეხმარებით მათ, საჭიროების მიხედვით ვაფინანსებთ. შარშან და წელს რამდენიმე მწერლის წიგნი გამოიცა ჩვენი უშუალო დახმარებით. სხვა ღონისძიებებიც ტარდება ქალაქში წიგნიერებისა და ხელოვნებისადმი სწრაფვის ასამაღლებლად. მალე განახლებული თანამედროვე ცენტრალური ბიბლიოთეკა გვექნება. წლეულს რუსთავის თეატრის შენობაც ძირეულად შეიცვლის სახეს, განსაკუთრებით მისი შიდა ინტერიერი, უზრუნველვყოფთ გათბობისა და გაგრილების სისტემებით. ვაფინანსებთ მუსიკალურ სასწავლებლებს. ჩემს ხელთ არსებული მონაცემებით, თეატრისა და მუსიკალური სასწავლებლის მუშაკთა ხელფასები ძალიან დაბალია. მათი შრომის ანაზღაურების ამაღლებაზეც უნდა ვიზრუნოთ, ვეძებთ სათანადო ფინანსებს. ახლო მომავალში ავაშენებთ თანამედროვე ხელოვნების სახლს, სადაც დაბინავდებიან მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები, ხელოვნების მოყვარულნი. პერიოდულად რუსთავის კულტურის ყველა წარმომადგენელს, შემოქმედებით კოლექტივებს შეეძლება ერთად შეკრება და სხვადასხვა საინტერესო ღონისძიებების დაგეგმვა.

შარშან რუსთავში პირველად გაიმართა დიდი შოთას დღესასწაული. ქართველი ერის გენიალური შემოქმედი რომ აქაური იყო, ამას ფაქტობრივი კვლევებით ასკვნის და ადასტურებს მეცნიერთა საკმაოდ ავტორიტეტული ჯგუფი. რუსთავი იმ ეპოქაში საკმაოდ წარმატებული და ძლიერი ქალაქი ყოფილა. სამეფო კარზე დაწინაურებულ ფეოდალთა ერთი შტო სწორედ რუსთაველებად იწოდებოდა. წარმოუდგენელია „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონები აქ არ დაწერილიყო, იმ დროის გარემოებათა და შოთა რუსთაველის მაღალი წოდების გამო. რუსთავი ხომ საუფლისწულო ქალაქი, შოთა რუსთაველი კი სამეფო კარის ერთ-ერთი გამორჩეული დიდებული იყო. ჩვენ მესხეთის რუსთავთან სადავო რა გვაქვს, თვით ჰომეროსის სამშობლოს ტიტულზე დღემდე ცხრა ბერძნული ქალაქი დავობს და ეს ჰომეროსის უკვდავი ნაწარმოების პოპულარიზაციას კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს. ამდენად, რუსთაველებს ნამდვილად გვაქვს საფუძველი, ფართოდ აღვნიშნოთ შოთაობა და ვაქციოთ ის დიდ სახალხო დღესასწაულად. მოვიწვევთ სტუმრებს როგორც დედაქალაქიდან და საქართველოს ყველა კუთხიდან, ასევე უცხოელებსაც, საზღვარგარეთის საელჩოთა წარმომადგენლებს. შექმნილია სპეციალური კომისია, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, ხოლო საორგანიზაციო საკითხებს უძღვება რუსთავის საკრებულოს წევრი, ნიჭიერი ორგანიზატორი ნინო ბასილაშვილი.

**ესაუბრა**
**გივი ჯახუა**

*P. S. 27 აპრილი მეტალურგიის დღეა. 1950 წლის ამ დღეს პირველი ქართული ფოლადი გამოუშვეს, რომლის ერთ-ერთი თანამონაწილე, ქართული ფოლადის მინდიად წოდებული ვაჟა გიგიბერია, იმ ხუთიათას „ოცდაექვსიანელთა“ „ორდენის“ ბრწყინვალე რაინდი, დღესაც მხნედაა. საბედნიეროდ, მისი თაობის ასამდე მეტალურგი შემოგვრჩა.*

*არადა, აგერ, უკვე რამდენი წელია, ეს დღე არ აღნიშნულა და როგორც ყოფილმა მეტალურგმა (სიჭაბუკის ათი წელი ამ ქარხანაში რომ გავატარე), გადავწყვიტე, ქალაქის მერს შევახსენებ-მეთქი. შემომცინა და ჩანაწერი მაჩვენა, უკვე ვემზადებით და საკადრისად აღვნიშნავთო.*

*იმედი მომეცა, როგორც ჩანს, ჯერ ყველაფერი არ დაკარგულა! არადა, სრულიად საქართველომ უნდა იბრძოლოს ქართული მეტალურგიის ასაღორძინებლად. ჩვენმა ერმა ორჯერ გააკეთა მეტალურგიაზე დიდი განაცხადი: პირველად — როცა ჩვენმა წინაპარმა ხალიბებმა კაცობრიობა რკინის წარმოების საიდუმლოებას აზიარეს და მეორედ — როცა გასული საუკუნის ორმოციან წლებში ქართული მეტალურგიული გიგანტი ამოქმედდა. და თუ ეს შანსი დავკარგეთ, მესამე შესაძლებლობა აღარ მოგვეცემა.*

*გ. ჯ.*

## პირადი აზრი

*პატივცემულო რედაქცია!*

*მინდა გულწრფელი მადლობა მოგახსენოთ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომელთა მთელ კოლექტივს (იმედი მაქვს, მაპატიებთ ძველმოდური სიტყვების გამოყენებას) — მთავარი რედაქტორიდან რიგით მუშაკამდე — შრომისათვის, რასაც ეწევით გაზეთის ეპიგრაფად (თუ დევიზად) არჩეული დიდი ილიას შეგონების ჟურნალისტურ ცხოვრებაში დასაფუძნებლად. თქვენი გაწონასწორებული, ყველანაირი (შეიძლება, ზოგჯერ მეტ-ნაკლებად მისაღები) აზრისათვის გაზეთის ფურცლებზე ღია კარის შეთავაზების პერმანენტული პოლიტიკა, იმედია, დააგროვებს საღი აზრის იმ რაოდენობას, რომელიც საბოლოოდ ქართულ პოლიტიკასაც ახალ თვისობრიობას, თვისობრივად ახალ სიცოცხლეს შესძენს.*

*სწორედ ასეთმა მიდგომამ გაზეთის მკითხველისადმი, გამაბედვინა მომეწოდებინა ჩემი აზრი ქვემოთ მოტანილ საკითხებზე. შეიძლება ამ გამბედაობას დღევანდელი დღის მადლიც თავისებურ ძალას მატებდეს, რადგან ოცდათორმეტი წლის წინანდელი გაზაფხულის ამ პერიოდში, ქართველთა საერთო განწყობის საჯაროდ გამოთქმისათვის უშიშროების კომიტეტის გამომძიებელთა კლანჭებს ჩავარდნილი, ალბათ, ღვთის ნებით გადავრჩი ათასობით ჩემნაირთან ერთად. პოლიტიკისაგან შორს მდგომი ადამიანის აზრები მაინცდამაინც დიდ თანაგრძნობას არ აღძრავს ხოლმე პოლიტიკოსებში, საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროს ექსპერტებსა თუ ჟურნალისტებში, მაგრამ როცა სამშობლოს (არ მინდა მაღალფარდოვნად გამომივიდეს, მაგრამ რეალობა რეალობაა) გასაჭირს გრძნობ და მასთან ერთად პრობლემათა უკიდეგანო უფსკრულიდან ამოჩოჩებას ცდილობ, იძულებული ხდები ოპონენტთა მოსალოდნელ არასასურველ ემოციურ რეაქციათა საშიშროებას დროებით მაინც წაუყრუო და შენი აზრები ანდო მასმედიის პატიოსან წარმომადგენელს, რომლის კომენტარებიც თითქმის არასოდეს არავისთვის შეურაცხმყოფელი არაა (მით უმეტეს, რომ თქვენი გაზეთის წინამორბედი რედაქტორისადმი მიმართვა კარგად მაქვს დაცდილი, — 1980 წლის შემოდგომაზე თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდში შექმნილი კრიტიკული სიტუაციის გამო გულშემატკივართა საერთო აზრის გამომხატველი ერთი წერილი ჩემგანაც შევიდა გაზეთის სარედაქციო ფოსტაში, შემდგომი წლის გაზაფხულზე კი ქართველთა ერთ-ერთი დიდი მშვიდობიანი გამარჯვება ვიზეიმეთ). და მაინც, თუკი რედაქცია შესაძლებლად ჩათვლის უცვლელად გამოაქვეყნოს ეს წერილი, მინდა წინასწარ ბოდიში მოვუხადო ყველას, ვისაც ნებსით თუ უნებლიეთ შეიძლება რაიმე გამაღიზიანებელი ვაკადრო გამოუცდელობისა, თუ განსახილველ საკითხთა სირთულის ან ამ საკითხთა ქვეყნისათვის უდიდესი მნიშვნელობის (ყოველ შემთხვევაში, ასეა ჩემი გაგებით და ამიტომაც ვბედავ თქმას) გამო. რაც შეეხება ფსევდონიმს, ის უბრალოდ ხაზს უსვამს, რომ გამოთქმული აზრები შეიძლება ეკუთვნოდეს ნებისმიერ ჩვენს მოქალაქეს (ამ აზრების უმრავლესობა კი, ფაქტიობრივად, თქვენი გაზეთის გავლენაცაა). ამდენად, შესაძლებლად მიმაჩნია ჩათვალოთ, რომ წერილს ხელს აწერს „პატარა ქართველი", „კავკასიელი იბერიელი" და ა.შ.*

# დღეს დავითისა და შოთას იდეებზე აღზრდილი და ბიბლიურ ზნეობრივ ღირებულებათა მცველი, ახალი და ძველი თაობის ყველა მოქალაქის ჯერი დგება



„საქართველოს რესპუბლიკის" ამა წლის 14 აპრილის ნომერში გამოქვეყნებულია ერთ-ერთი ექსპერტის ინტერვიუ სათაურით „კონფლიქტების მოგვარების თვალსაზრისით დღეს სრული უკუსვლაა", რომლის დასაწყისში ვკითხულობთ: **„კომუნისტურ ეპოქაში ჩამოყალიბდა ასეთი მენტალობა: ჩვენი საზოგადოება და სოციუმი პრობლემების კონსენსუსით გადაწყვეტაზე არ იყო ორიენტირებული. გავრცელებული იყო აზრი, თუ ვინმე შემიძლია დავჩაგრო ან ვინმეს რაღაც წავართვა, რატომ უნდა შევუთანხმდე? — დღესაც ასეთი მენტალობაა. ხშირად გაიგონებთ, რუსეთს ან აშშ-ს შეუძლიათ ვიღაცას რაღაც წაართვან და რატომ არ აკეთებენ?"**

ძლიერის წინაშე რომ დიპლომატიის ენით საუბარია საჭირო, ეს ჩემთვის სავსებით გასაგებია, მაგრამ თუ ვიღაცა ვიღაცას ეუბნება შავი თეთრიაო, ბ-ნი ექსპერტი ამას საქართველოს სოციუმსა და საზოგადოებას რატომ უთვლის მენტალობაში, ეს ნამდვილად გაუგებარია. მოტანილი ფრაგმენტის (ისევე, როგორც მთლიანად ინტერვიუს) გაცნობისას ჩნდება სხვა გაუგებრობებიც და უნებურად იბადება კითხვები: განა 1801 წელს კომუნისტური ეპოქა იყო? მე-19 საუკუნის ნაპოლეონი იყო კომუნისტი თუ მე-20 საუკუნის ჰიტლერი, ყველას ყველაფერს რომ ართმევდნენ? ანდა კოსოვო, ერაყი? — განა საქართველოს სოციუმი ატარებდა და ატარებს ამ ადგილებში ძალადობის აქციებს? იქნებ ბ-ნი ექსპერტი მართლა თვლის, რომ საქართველოს ტერიტორიები რუსეთმა არ მიითვისა?

ინტერვიუს სათაურში გამოხატული აზრი სიმართლეა, მაგრამ ავტორს არ სურს ხაზგასმით განაცხადოს, თუ ვინ ქმნიდა და აღვივებდა ამ კონფლიქტებს ორას წელზე მეტი ხნის განმავლობაში, და მთელ ინტერვიუში, მგონი, მხოლოდ ერთგან უწუნებს რუსეთს საქციელს, როცა მის მოქმედებას **„იმპულსურს"** უწოდებს, ადანაშაულებს საქართველოს სამივე პრეზიდენტს კონფლიქტების დაწყებასა და მოუგვარებლობაში, ინტერვიუს დამთავრების წინ კი ამბობს: „ჩვენ (ალბათ იგულისხმება საქართველოს საზოგადოება და სოციუმი — ი.-ი.) **არ ვაღიარებდით და დღესაც არ ვცნობთ მეორე მხარის არსებობას, ანუ აფხაზები და ოსები საკუთარი ინტერესების მქონე ძალად არ მიგვაჩნია, რადგან ისინი რუსის პირდაპირი მარიონეტები არიან, რაც უმართებულოა"**.

დიახ, ნამდვილად უმართებულოა, ბ-ნო ექსპერტო, საზოგადოების მიმართ რაღაც ბრალდებების წამოყენება, როცა ამ ბრალდებების სახელსა თუ იარლიყს თვითონვე თხზავთ და სოციუმს აწებებთ. ეს მართლაც ჰგავს რუსული სამხედრო-დამპყრობლური პოლიტიკის კარგად ცნობილ მეთოდებს, რომლებიც კომუნისტურ ეპოქაში სწორედ რომ არ ჩამოყალიბებულა. ალბათ, ძალიან დიდი შეცდომაა, თუ ბ-ნი ექსპერტი თვლის, რომ რუსეთის დიდმპყრობელური, შოვინისტური პოლიტიკის გამოაშკარავების, კრიტიკისა და თუნდაც პოლიტიკური მეთოდებით დაგმობა-უკუგდების გარეშე შევძლებთ კონფლიქტების მოგვარებას საქართველოში (რადგან დათვს პირადად, არათუ არ მოვფერებივარ, სათოფედაც კი არ მივკარებივარ, არ ვიცი რამდენად უხიფათოა პირაუკრავი დათვის მოფერება, რაც აღნიშნულ ინტერვიუში აშკარად იგრძნობა).

ყოველივე ზემოთ თქმულის მიუხედავად, არ შეიძლება ბ-ნ ექსპერტს არ დაეთანხმო იმაში, რომ **„გონივრული, გათვლილი და რაციონალური მოქმედება იყო საჭირო"** სსრკ-ს დაშლისას. არანაკლებ საჭირო იქნება, თუ უფრო მეტად არა, ამგვარი მოქმედებები მომავალშიც. ნამდვილად საყურადღებოა იმავე ინტერვიუში ბ-ნი ექსპერტის მიერ გამოთქმული აზრი მთელი საზოგადოების შეთანხმებაზე სახელმწიფოს მშენებლობის საკვანძო საკითხების ირგვლივ (რაც არც არსად მომხდარა და არც ჩვენთან შეიძლებოდა მომხდარიყო, ან შეიძლება ოდესმე მოხდეს თავისთავად და „უბრალოდ"). ყველასათვის ცხადია, რომ კონფლიქტების მოგვარებისათვის ყველაფერი გონივრულად უნდა გაკეთდეს, მაგრამ როგორ? სწორედ ესაა ყველაზე ძნელი და პრობლემური საკითხი, რამეთუ ყოვლისმომცველი გონი ადამიანისა რეალურად არ არსებობს. უფრო მეტიც, ადამიანთა საზოგადოებებისა და სახელმწიფო მმართველთა უმეტესობის გონი-ინდივიდუუმები თავიანთი საქმიანობით ხშირად არღვევდნენ და დღესაც არღვევენ ათასწლეულების წინათ ღმერთის, — სამყაროს ამ უდიდესი და ყოვლისმომცველი გონის — მიერ მოთხოვნილ ათ მცნებასა და ცხრა ნეტარებასაც კი. სამწუხაროდ, ეს ასე იყო „კომუნისტურ ეპოქამდეც", იმ ეპოქაშიც, მის შემდეგაც, როგორც კაპიტალისტურ, ისე ე.წ. „სოციალისტურ" და ნებისმიერ სხვა პრე- ან პოსტ-სივრცეებსა, თუ საზოგადოებებშიც.

შეიძლება ვინმეს აქ ზედმეტად მოეჩვენოს მსჯელობა ზნეობრიობაზე, მაგრამ გავიხსენოთ როგორ აღწერს თავის ინტერვიუში ბ-ნი ექსპერტი კონფლიქტების მოგვარების საკითხებზე **„შეთანხმების"** პროცესს (ალბათ, პატივცემულ ექსპერტთა რომელიღაც ჯგუფში): **„დაიწყება მოლაპარაკება, ვიღაც აყვირდება — ეს ფედერაციააო, მერე რაღაც დაიწყება, უი, ეს კონფედერაციააო. მოლაპარაკებების მაგივრად ერთმანეთს იარლიყებს ვაწებებთ. იარლიყების მიწებება კი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიხსნება, თუ მთელი საზოგადოება შეთანხმდება რა გვინდა."** პირადად მე მგონია, რომ მთელი საზოგადოების შეთანხმებამდე ჯერ სწორედ გონიერი ადამიანები, ექსპერტები და საზოგადო მოღვაწეები (თუკი ასეთები გვყავს), უნდა შეთანხმდნენ იმაზე, თუ რა უნდათ. მაგრამ არა მგონია, ვინმემ რაიმეზე შეთანხმება შეძლოს, თუ წინასწარ ზნეობრივ ღირებულებებზე კონსენსუსს ვერ მიაღწიეს.

როგორც დიდი ილია გვასწავლის, თავისი ისტორიის დავიწყებით ერი კვდება. შესაბამისად, კაცობრიობის მიერ საუკუნეებგამოვლილი ზნეობრივი ღირებულებების დავიწყება ცივილიზაციის ისტორიის დავიწყებისა და მისი სიკვდილის ტოლფასი იქნება. ცხოვრებისეული კატაკლიზმების გზაგასაყარზე მდგომი ერისათვის უსარგებლოდ ნუ მოგვეჩვენება კაცობრიობის სხვა უდიდეს მოაზროვნე ადამიანთა ბრძნული გამონათქვამების გახსენებაც: **„სრულყოფილება პირმშოა წონასწორობის** (მოწესრიგებულობის, წესრიგის — ი.ი.), **წონასწორობა — სამართლიანობის, ხოლო სამართლიანობა ესაა სულის სიწმინდე"**. **„მოვალეობავ! შენა ხარ ის ამაღლებული, დიადი სიტყვა, რაც ადამიანს საკუთარ თავზე მაღლა აყენებს"** — უთქვამს იმანუილ კანტს. ადამიანის უმაღლესი მოვალეობა კი მისი მოვალეობაა ღმერთის წინაშე, რომ სიყვარულით გაამრავლოს და განავითაროს სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი წესრიგი, უდიადესი სიკეთე — გენი ადამიანისა.

სხვადასხვა მეცნიერთა გამოკვლევებით დადგენილია: **1.** ადამიანი დედამიწაზე ორი მილიონი წლის წინათ გაჩენილა; **2.** დედამიწაზე ყოველ ოციათას წელიწადში ხდება რაღაც კატაკლიზმები (რომელთა ბუნება უცნობია და რომლებიც სავარაუდოდ იწვევენ ცივილიზაციათა მოსპობას), ხოლო დღევანდელი ცივილიზაცია ამ პერიოდულ ცვალებადობათა დაახლოებით შუა სტადიაში უნდა იმყოფებოდეს; **3.** გალაქტიკაში დედამიწის მსგავსი სიცოცხლით მილიარდამდე პლანეტა შეიძლება არსებობდეს. ამ დასკვნათა უბრალო გააზრებაც კი ადვილად მიგვანიშნებს იმაზე, თუ რაოდენ დიდი არჩევანი აქვს სამყაროს შემოქმედს სიცოცხლის საუკეთესო ვარიანტის, ადამიანის (ან მისი მსგავსი მოაზროვნე არსების) საუკეთესო გენის გასამრავლებლად. აქედან გამომდინარე კი, დედამიწაზე ამჟამინდელი ცივილიზაციის ყოფნა-არყოფნისათვის თანამედროვე სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის მნიშვნელობა განუზომელი და შეუფასებელი ჩანს.

აქვე ურიგო არ იქნება გავიხსენოთ, რომ ბიბლიური ნოეს კიდობანი კავკასიის მთებზე გამოირიყა და პატიოსან ადამიანთა თანამედროვე ცივილიზაციის აკვნადაც, გვინდა თუ არ გვინდა, კავკასია უნდა ჩაითვალოს, თუკი ბიბლია და სახარება გვწამს. „პროგრესი კავკასიურ რასაში განივთდება. მხოლოდ კავკასიურ რასაში სული აბსოლუტურ ერთანობას თავის თავში ნახულობს, თვითგანვითარებას აღწევს და ამდენად ახორციელებს მსოფლიო ისტორიას." „ცივილიზაცია კავკასიაში იშვა და კავკასიაშივე კვლავაღმოცენდება" — უთქვამს გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელს. დანარჩენი სათქმელი თავიანთი სიცოცხლითა და მოღვაწეობით უკვე თქვეს იბერიული და იბერიულ-კელტური წარმოშობის ერებმა, ეთნოსებმა თუ ცალკეულმა პიროვნებებმა. დღეს კი, დავითისა და შოთას იდეებზე აღზრდილი და უძველეს ბიბლიურ ზნეობრივ ღირებულებათა მცველი, ახალი და ძველი თაობის საქართველოს ყველა მოქალაქის ჯერი დგება:

**1.** საჯაროდ, გამჭვირვალედ და ერთმნიშვნელოვნად უნდა განიმარტოს სახელმწიფოს იდეოლოგიური საფუძვლები; ძირითად ზნეობრივ და კულტურულ ღირებულებათა ერთობლიობა; განსხვავება ბიბლიურ ზნეობრივ ღირებულებებსა და გადაფასებულ-შეცვლილ, ან ახალ ღირებულებებს შორის; რა ღირებულებებსა და როგორ გადაფასებებზეა საუბარი ე.წ. დასავლური ღირებულებების მქონე თანამედროვე ცივილიზებულ სახელმწიფოებთან და მათ გაერთიანებებთან დაახლოება-ინტეგრაციის პროცესში.

**2.** დამუშავდეს სახელმწიფოს მდგრადი ეკონომიკური სტრატეგია მსოფლიოს ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ სივრცეში საიმედო კავშირებით, ძირითადად კი საკუთარი შრომითი და ბუნებრივი რესურსების ბაზაზე; გონიერი, პატიოსანი, სამართლიანი, პროფესიონალი კადრების მუდმივი შერჩევისა და როტაციის ობიექტური სისტემის გამოყენებით.

**3.** სახელმწიფოს იდეოლოგიური საფუძვლების, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და სახელმწიფოს ეკონომიკური სტრატეგიის შესაბამისად კორექტირდეს საკანონმდებლო ბაზა; არანაკლებ ასიათასიანი ტირაჟითა და კოპირების უფლებით გამოიცეს საქართველოში მოქმედი ყველა კანონისა და კანონქვემდებარე აქტების სრული (ყოველწლიურად განახლებადი) ჩამონათვალი ყველა პუნქტთან იმ მუხლების დართვით, რომლებშიც განსაზღვრულია შესაბამისი კანონისა და აქტის მოქმედების სფერო; ჩამონათვალის ნებისმიერი დოკუმენტის თავისუფალი, შეუზღუდავი გაცნობა-კოპირება-შეძენის მიზნით შეიქმნას „კანონთა სახლი" (ან ნებისმიერი სხვა სახელწოდების დაწესებულება) სათანადო იურიდიული მომსახურებით.

**4.** საერთაშორისო სამართლებრივი და სახელმწიფოს მორალური საფუძვლების მიხედვით განისაზღვროს სახელმწიფოს პოლიტიკური სტრატეგია და ტაქტიკა, რომლის უმთავრესი ორიენტირი უნდა იყოს მშვიდობიანი, სამართლიანი, უშიშარი თანამშრომლობა და ინფორმაციულ-პოლიტიკური ქმედებანი, საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპებით მოქმედ მსოფლიო დემოკრატიულ ძალებთან ერთად, რუსული დიდმპყრობელური, აგრეთვე სხვა სახელმწიფოთა დამპყრობლური პოლიტიკის, ყოველგვარ აგრესიულ გამოვლინებათა გამოაშკარავება-დაგმობა-ლიკვიდაციისათვის.

**ივერ-იბერიელი.**
14.04.2010წ.



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №164

# მშვენიერ წარსულში დაბრუნების ხელოვნება

**14 აპრილს ქართული ფოლკლორის ცენტრში (აღმაშენებლის ქ. №68) თითქოს გამთლიანდა დრო. სიძველეს ყოველთვის რაღაც სხვაგვარი იდუმალება ახლავს — მარადისობის ნიშანი. საექსპოზიციო დარბაზში წარმოდგენილი იყო ე. წ. „ისტორიული მულაჟები", რომელიც ორ ნაწილად გახლდათ გაყოფილი. პირველ საგამოფენო სივრცეში შეგვეძლო გვეხილა ქალბატონების ნანული შუბითიძის, მარინა და ლიზი ჩქარეულების შესანიშნავი ნამუშევრები: ძველი ხელნაწერების, მინიატიურების, ნოტებზე გადატანილი საგალობლების მულაჟები. გალობდა საეკლესიო გუნდი, ცოცხლდებოდა ჩვენი წინაპრების ხელოვნება და ესთეტიკა.**

მეორე დარბაზში ცნობილი ოსტატის, „განსაკუთრებულად ფასეულ ხელნაწერთა მხატვარ-რესტავრატორის ქალბატონ **ლია სიხარულიძის** ნამუშევრები იყო ექსპონირებული".

ჩვენ, ამჯერად **ნანული შუბითიძეს** და **ლია სიხარულიძეს** ვესაუბრეთ. მათი ხელოვნება განსხვავებულია, მაგრამ წარსულის ფასეულობებთან განსაკუთრებული დამოკიდებულებით მსგავს სულისკვეთებას ატარებს.

## სამზითვო „ვეფხისტყაოსანი"

**— ქალბატონო ნანული, თქვენ ელექტრონული კომუნიკაციების ეპოქაში ხელით გადაგიწერიათ „ვეფხისტყაოსანი". რა იმპულსებმა წარმოშვა ეს ესოდენ შრომატევადი სამუშაო?**

*— ბავშვობაში ლამაზად ვწერდი, სტუდენტობის დროს მხატვრულ ხელწერას დავეუფლე. ვაკვირდებოდი ძველ კალიგრაფთა ნამუშევარს, მათი ხელოვნების მაღალ კულტურას, ვსწავლობდი მათგან, უსახელოდ დარჩენილ ოსტატებისგანაც...*

*რადგან ქალიშვილი მყავდა, ამეკვიატა ფიქრი, რომ მისთვის სამზითვოდ „ვეფხისტყაოსანი" გადამეწერა, როგორც ქართველებისთვის ყველაზე ტრადიციული რელიკვია. „ვეფხისტყაოსანი" ორჯერ მაქვს გადაწერილი. ამჟამად გამოფენილი ხელნაწერი რუსთაველის 800 წლის საიუბილეო გამოცემის მიხედვით გადაწერილი ეს ნაშრომი მრავალი წლის წინ მოსკოვში „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერთა და გამოცემათა გამოფენაზეც იყო წარდგენილი. დროის ამ გადასახედიდან, თანამედროვე გამწვავებული პოლიტიკური მოვლენების ფონზე, ალბათ უჩვეულოდ ჟღერს რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" რარიტეტული ტექსტების ექსპოზიცია რუსეთის დედაქალაქში. მე მაშინ იქ გახლდით და მახსოვს გამოფენას უდიდესი წარმატება ჰქონდა.*

**— და მაინც, როგორია დღეს საზოგადოების დამოკიდებულება „სამზითვო" „ვეფხისტყაოსნის" მიმართ?**

*— ჩემი ასამდე ხელნაწერი მაქვს გაჩუქებული. რამდენჯერმე ქორწილში ძღვნადაც მიმიტანია. ბედნიერი ვარ, რომ ხელნაწერით ადრე დაინტერესდა ბატონი* ***ბადრი პატარკაციშვილი,*** *ჩემთან მოვიდნენ მისი წარმომადგენლები და რუსთაველის პოემის გადაწერილი ცალკეული ტექსტები ქართულ ოჯახებში ინახება. ხელნაწერის ბეჭდური ტირაჟირება შემომთავაზეს, რომელიც ძვირფას ყდაში იქნებოდა ჩასმული. მათ სურდათ ქორწინების სახლში, რომელიც. ამ ქველმომქედმა გახსნა და აგრეთვე რიტუალების სასახლეში, რომელიც მთაწმინდაზე უნდა გახსნილიყო ახალდაქორწინებულებისთვის ეს ჩემი „ვეფხისტყაოსანი" გადაეცათ. სამწუხაროდ, ცნობილ მიზეზთა გამო, ამ პროექტის განხორციელება ვერ მოხერხდა.*

* * *

ქალბატონი ნანული წლების განმავლობაში მუშაობდა ი. გოგებაშვილის სახელობის უმაღლეს სასწავლებელში კალიგრაფიის პედაგოგად, ბატონ თენგიზ მდივანთან. ამჟამად ესთეტიკური აღზრდის ცენტრშია, სადაც ხორციელდება პროექტი „საუკეთესო კალიგრაფი".

**— ამჯერად რაზე მუშაობთ?**

*— მე გადაწერილი მაქვს აკაკი წერეთლის „გამზრდელი", „ვეფხისტყაოსნის" აფორიზმები. რომელიც უნიკალური გამოცემაა და ექვს ენაზეა წარმოდგენილი. ამჯერად ლადო ასათიანის ლექსების გადაწერა დავასრულე, რაც მინდა მის ქალიშვილს ვუძღვნა...*

* * *

ქალბატონ ნანულის თავისი დახვეწილი კალიგრაფიით და თავსართებით სხვა ქართველ მწერალთა ტექსტების გადაწერაც სურს.

წარმატებებს ვუსურვებთ, მაგრამ ჩვენ „ვეფხისტყაოსნის" მისეული ხელნაწერის ბეჭდურ გამოცემასაც სიამოვნებით შევიძენდით... ეს ხომ ქართული ოჯახების საუკეთესო ტრადიციებთან დაბრუნებაა.





## სიტყვებით გამოუთქმელი...

ამ მშვენიერ ქალბატონს 900-მდე ხელნაწერი აქვს აღდგენილი. „განსაკუთრებული ფასეულ ხელნაწერთა მხატვარ-რესტავრატორის" წოდება საატესტაციო კომისიამ მიანიჭა. მოსკოვის სარესტავრაციო ცენტრში იგი დაეუფლა ყდების აღდგენა-რესტავრაციას.

ქალბატონი **ლია სიხარულიძის** დიდი ოსტატობა გამოვლინდა ჩვენს ფონდსაცავებში დაცული მხატვრული ხელნაწერების დაზიანებული მინიატიურების გამაგრებაშიც, რაც მდგომარეობს მათი ატკეცილი და დაშლილი ფერადი შრის შენარჩუნებაში. ამგვარი ურთულესი სამუშაოს შედეგები ხომ არსად აფიშირდება, მაგრამ უაღრესად შთამბეჭდავია მისი მნიშვნელობით: ლია სიხარულიძემ გაამაგრა 102 უნიკალური მინიატიურა.. სამომავლოდ, ჩვენი კულტურული ფასეულობების გადარჩენისთვის. დაზიანებული ფერადი პიგმენტები, შრე რომელიც გაქრობის ზღვარზე იდგა. 1971 წელს აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის მოთხოვნით, მივლინებაში იყო ბაქოში, სადაც იქაურ რესტავრატორებს შეასწავლა ხელნაწერთა აღდგენა-რესტავრაციის სხვადასხვა მეთოდი, მათივე ფონდების უნიკალური ხელნაწერების რესტავრაციის დროს.

ხელნაწერებზე მუშაობამ განაპირობა ლია სიხარულიძის ძალიან საინტერესო და ყოველმხრივი მუშაობა: მხატვრობაში, ძველი მინიატიურების ასლებისა და ხელნაწერთა მულაჟების შექმნაში.

გამოფენაზე ფოლკლორის, ცენტრში, წარმოდგენილი იყო ხსვადასხვა ხელნაწერები: „მამაო ჩვენო", „ანბანი" აკვარელით და ბრინჯაოს საღებავით შესრულებული. მინიატიურები: მარიამი — ბიზანტიის დედოფალი საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ის ქალიშვილი და სხვა... მაღალპროფესიულად შესრულებული ნამუშევრები ქაღალდზე და ტყავზე...

**— ქალბატონო ლია, თქვენ პროფესიით ფილოლოგი ხართ... სულ სხვა პროფესიას დაეუფლეთ.**

*— ფილოლოგია ხელს მიწყობს იმაში, რასაც ვაკეთებ. ეს ხომ მხოლოდ ხელობა არ არის. შთაგონებას და შემოქმედების საიდუმლოს გულისხმობს... და იმ ტექსტების სიღრმისეულად გააზრებას. როცა სასწავლებელი დავამთავრე, ძალიან მინდოდა ხელნაწერების ინსტიტუტში მუშაობა. მახსოვს, პირველად ნუსხური კალიგრაფიული ტექსტი რომ ვნახე, საოცარი შთაბეჭდილება დატოვა. ეს ულამაზესი კალიგრაფიაა, თავისი მოხაზულობით, დახრილობით, დახვეწილობით... გარდა ამისა, ამ კალიგრაფიით იქმნებოდა საეკლესიო ტექსტები და იქნებ ამიტომაც იგი ჩემთვის მისტიურია. საერთოდ, ქართული ანბანი, მხატვრული თვალსაზრისით, უნიკალურია მსოფლიოში.*

ქალბატონ ლიას თავისი ეს ნამუშევრები სხვადასხვა წლებში გამოფენილი ჰქონდა საფრანგეთში, ბელგიაში და უცხოელებიც აზიარა ძველი ქართული

➡





წიგნების გამოცემის დიდებულ კულტურას.

– *დიდ პატივად ვთვლი, რომ 2004 წელს საქართველოს პატრიარქმა ილია II დამავალა მომეხატა სამების ტაძრის დიდი „სახარება“ აგრეთვე ამეკინძა „სახარება“ და ჩამესვა ხის ტყავის ყდაში...*

*ამჟერად ვამზადებ სახელმძღვანელოს ხელნაწერთა რესტავრაციის დარგში, სახელწოდებით* ***„ძველი ქართული ხელნაწერები და მათი რესტავრაციის სხვადასხვა მეთოდი“.***

გამოფენაზე გარდასულ საუკუნეთა რელიკვიების გვერდით XX საუკუნის პოეზიის შედევრიც **„ქარი ქრის“** იყო წარმოდგენილი, ქალბატონ ლიას მიერ ოსტატობით შემკობილი.

– *ამჟამად მეოცე საუკუნის ქართულ ტექსტებზე ვმუშაობ. იქ შემაქვს ძველი ხელნაწერების ელემენტები, კამარები, თავსართი ასოები... ვაფორმებ ისე, ძველი მხატვრები რომ აფორმებდნენ უძველეს მხატვრულ წიგნებს.*

* * *

ვუცქერთ გალაკტიონის ლექსის ამგვარ გაფორმებას და ვხედავთ, რომ საუკუნეთა სტილების სხვაობა არ ქმნის კონტრასტს და დისჰარმონიას, პირიქით, აქ ჰარმონიულად მთლიანდება ეპოქა და დრო.

**– ქალბატონო ლია, როგორ აძლევთ ჩვეულებრივ ფურცლებს ძველ იერს?**

პასუხად ქალბატონმა ლია სხირტლაძემ თავისი შემოქმედებითი ლაბორატორიიდან ერთ-ერთი საიდუმლო გაგვიმხილა, რასაც „კვირაძალის“ მკითხველსაც სიამოვნებით ვუზიარებთ: ქაღალდი შეიძლება ისე დავაძველოთ, რომ რამდენიმე საუკუნის წინანდელს დავამსგავსოთ. ამისათვის საჭიროა: ჩაის ნაყენი, კაკლის უღელი, მუხის ქერქის ნაყენი, მარგანეცის სუსტი ხსნარი, ბროწეულის ქერქი...

მთავარი კი მაინც შემოქმედებითი საიდუმლოა, რასაც ოსტატი თავის ქმნილებაში აქსოვს და სიტყვებით არ გადმოიცემა.

**ხატია ცარციძე**



# სილამაზის ბედი და უბედობა

**წიგნის მშვენიერი სათაური „სილამაზის ბედი“ განზოგადებული ფიქრებისკენ განგვაწყობს, თუმცა სრულიად კონკრეტული ამბებია მოთხრობილი, დოკუმენტების ჩარჩოში მოქცეული.**

არ ვიცით, რამდენად სამრწმუნოა მემუარული ლიტერატურა და ცალკეულ პირთა მოგონებები, მაგრამ გარდასულ ეპოქათა გასაცოცხლებლად სხვა წყარო არ გაგვაჩნია. ყველაზე სანდო დოკუმენტი ალბათ თავად ფოტოებია, რომელიც ამ კრებულში საუკეთსო დიზაინითაა განლაგებული და ზოგჯერ კომენტარსაც არ საჭიროებს.

წიგნის ავტორის **იგორ ობოლენსკის** (იზგარშევის) დოსიე ბოლოში ვრცლადაა წარმოდგენილი: „ჟურნალისტი, მწერალი, დრამატურგი, სცენარისტი“, რომელსაც აუღია „დაახლოებითი 100 ინტერვიუ მსოფლიოს კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებთან“.

ავტორის მიზანი ალბათ იმ ქართველ ქალბატონთა ბიოგრაფიების აღწერაა, რომლებიც თავიანთი სილამაზით, ბედით თუ უბედობით და თუნდაც, მორკძალებული არსებობით, ეპოქის სურათებს ქმნიდნენ.

სილამაზე, ცხოვრებასავით წარმავალია. მას განსაზღვრული ვადა აქვს, მაგრამ ადამიანთა მეხსიერებაში დაუჭკნობ ყვავილად რჩება. ამ ქალებზე საუბრისას უპირველესად ალბათ პიროვნული სილამაზე გვაგონდება. კრებულში ასახული ქალბატონები თითოეული ცალკე ინდივიდუალობაა, გამორჩეულია და დასამახსოვრებელი.

რუსულ-ქართული დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობის ფონზე თითქოს სილამაზე მოსულა მაშველ რგოლად და რუსი ავტორი ქართველი ქალების ბიოგრაფიებზე ხაზგასმული აღფრთოვანებით საუბრობს. აქ ჩანს ერთი მნიშვნელოვანი შტრიხი – სილამაზის აღქმას პოლიტიკა ვერ აღუდგება. ჩვენი ინფორმაციით, ეს წიგნი, როგორც საქართველოში ისე რუსეთში, უკვე პოპულარული გახდა.

რამ განსაზღვრა კრებულის პოპულარობა? ალბათ იმანაც, რომ ამ ორი მეზობელი ერის ისტორია საოჯახო დრამებშიც მჟღავნდება, ბიოგრაფიებშიც იკვეთება. ამ ერებს მიუხედავად აფეთქებული ხიდებისა, ჯერ კიდევ აინტერესებთ ერთმანეთის ცხოვრება. უფრო მეტიც, ნოსტალგიურად აინტერესებთ.

წიგნში შეხვდებით ყველაზე ცნობილ და დავიწყებულ სახელებსაც. ავტორი დიდხანს დადიოდა ოჯახებსა და ფონდსაცავებში სათანადო ცნობების მოსაძიებლად. ბიოგრაფიათა ქარგა და ფაქტების კონსტანტაცია ავტორის გემოვნების და მასშტაბის მიხედვითაა დალაგებული. კრებულში ვეცნობით სხვადასხვა ეპოქის მშვენიერ ქართველ ქალთა მოკლე ბიოგრაფიებს.

ქვემოთ გთავაზობთ იგორ ობოლენსკის მიერ მკითხველისთვის ჩამოყალიბებულ რამდენიმე ინფორმაციას, კომენტარის გარეშე:

იგი იმპერატორის დედის ფრელინა იყო და ალექსანდრე პირველის ფავორიტი. **ვარვარა თურქესტანიშვილმა მეფეს ქალიშვილი გაუჩინა...**

იმპერატორი წარმოშობით თელაველ გოგონა ვ. თურქესტანიშვილისადმი არაორაზროვან ინტერესს ამჟღავნებდა და თვით გოგონაც გატაცებული იყო მისით. ერთ-ერთ ზეიმზე ალექსანდრე პირველმა მას ძვირფასი ქვა მიართვა, რომელზეც გამოსახული იყო ამ გოგონას პორტრეტი და ამოტვიფრული წარწერა: **„მას, რომელიც მე ავირჩიე“**. ის ღამე იმპერატორმა თავის ახალ ფავორიტ ქალთან გაატარა. იმის შესახებ, რომ დაფეხმძიმდა, ვარვარამ საზღვარგარეთ შეიტყო, როცა იმპერატრიცასთან ერთად მოგზაურობდა. 1819 წელს მას გაუჩნდა შვილი, რომელსაც მარია დაარქვეს... თუმცა, ეს ცნობა რუსეთის იმპერატორმა გულგრილად მიიღო. მას უკვე ეზრდებოდა ქალიშვილი სოფია, რომელიც მარია ნარიშკინასთან რომანის დროს გაუჩნდა. ახალი შვილი – მარია თურქისტანიშვილი ალექსანდრე პირველს არც ერთხელ არ უნახავს. როცა ის არსება ამქვეყნად გაჩნდა, იმპერატორს გოგონას დედისადმი ყოველგვარი ინტერესი ჰქონდა დაკარგული და სულ სხვა ქალით გახლდათ გატაცებული. ვარვარას არ შეეძლო ამგვარ მოპყრობას შერიგებოდა და გადაწყვიტა საკუთარი ნებით წასულიყო ამქვეყნიდან. ორი თვის შემდეგ, როცა გოგონა დაიბადა, ქალმა საწამლავი დალია და საშინელი ტანჯვით აღმოხდა სული. მისმა ისტორიამ იმპერატორთან და ტრაგიკულმა სიკვდილმა ცნობილ მხატვარ **ი. კრამსკოის** შთააგონა შეექმნა თავისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფერწერული ტილო **„უცნობი ქალი“** („неизвестная“).

* * *

კიდევ ერთი ისტორია: იგი 1888 წელს დაიბადა თბილისში. ორი წლით ადრე რომ გაჩენილიყო ამქვეყნად, მის ბიოგრაფიას ვერ გაალამაზებდა პეტრე ჩაიკოვსკისთან შეხვედრის ფაქტი, რომელიც ბიძის ხშირი სტუმარი იყო და იმ ოჯახში ვიოლინოზე უკრავდა კიდეც.

საერთოდ, ბედმა მას ისედაც აჩუქა ნაცნობობა და მეგობრობა დიდ ადამიანებთან... და ეს ხდებოდა არა მის მშობლიურ ქალაქში, არამედ პეტერბურგში, იქ სადაც ოჯახის უფროსს დიდი ბინა ჰქონდა ვასილის კუნძულზე. სალომე ანდრონიკაშვილი სწორედ აქ იქნა აღიარებული პირველ ლამაზმანად...




რუსულ ყაიდაზე სალომეას გვარი ასე ჟღერდა – ანდრონიკოვა. პოპულარული მწერალი ქალი ნ. ტეფი 1913 წელს წერდა: **„საღამოს მშვენება, როგორც ყოველთვის, სალომეა ანდრონიკოვა გახლდათ. ის არ ყოფილა არც პოეტი, არც მწერალი, არც მსახიობი, არც ბალერინა, არც მომღერალი... მაგრამ აღიარებული იყო ჩვენი წრის ყველაზე საინტერესო ქალად...**

როცა საქართველომ დამოუკიდებლობა მიიღო, მენშევიკური ხელისუფლების დროს თბილისში ჩამოვიდა მაიორი **ზინოვი პეშკოვი.** სწორედ ის, რომელიც ოდესღაც პეტერბურგში წარუმატებლად ცდილობდა სალომეას გულის მოგებას. ახლა ის იყო საფრანგეთის ლეგიონის საპატიო ორდენის კავალერი და ამავე ქვეყნის უმაღლესი კომისრის პოლიტიკური კონსულტანტი. მათ შორის გაიბა რომანი და როცა საქართველოში წითელი არმია შემოდიოდა, პეშკოვმა ანდრონიკაშვილი პარიზში დაპატიჟა... ისე უბრალოდ, თითქოს ახალი შლიაპის საყიდლად მიდიოდნენ... – **„მაგრამ მე ხომ თან არანაირი დოკუმენტი არ მაქვს“...** უპასუხია სალომეას.

**– „რისთვის გჭირდებათ დოკუმენტები, როცა თქვენ გყავართ მე“** – უპასუხა საფრანგეთის არმიის მომავალმა გენერალმა... და სალომეაც დათანხმდა, გაემგზავროს და გახდეს დიპლომატის მეუღლე. **„როგორც ყველა ჩვეულებრივ არისტოკრატ ქალს, მეც არ მსურდა რამეზე ღრმად დავფიქრებულიყავი... და გადავეშვი...“** – სევდიანად მოიგონებს იგი წლების შემდეგ თავის საქართველოდან გამგზავრებას.

პარიზში მოდების ჟურნალში დაიწყო მუშაობა. მალე ცოლად გაჰყვა **ალექსანდრე გალპერნს** – რუსეთის დროებითი მთავრობის მდივანს პარიზში. ზინოვი პეშკოვი კი სადაც არ უნდა წასულიყო, სალომეას მაინც უგზავნიდა სასიყვარულო ბარათებს.

თავისი მრავალფეროვანი ცხოვრების მანძილზე სალომეა გახლდათ მხატვრების: სერებრეაკოვის, პეტროვ-ვოტკინის, ვ. შუხაევის, ს. სორინის, პოეტების – ახმატოვას, მანდელშტანის და ცვეტაევას მუზა.

მან თავის 90 წლის ასაკში დიდი სადღესასწაულო მიღება მოაწყო და იქ თქვა, რომ **ტრაგედია მისი სურვილების და სიბერის მდგომარეობის შეუთავსებლობაშია.**

ოთხი წლის შემდგომ ლონდონის „ტაიმსი“ სალომე ანდრონიკაშვილის გარდაცვალებას იუწყებოდა.

* * *

კრებულში ჩვენ შევხდებით: ნინო ჭავჭავაძის, აგრაფინა ჯაფარიძის, ნინო წერეთლის, ეკატერინე სარაჯიშვილის, ელიზავეტა შერვაშიძის, ტასო თუმანიშვილის, ეკატერინა სვანიძის, რუსუდან მდივანის, მერი შერვაშიძის, ელისო დადიანის, ოლგა სვანიშვილის, ბაბო შარვაშიძის, მელიტა ჩოლოყაშვილის, ბაბო დადიანის და სხვათა ბიოგრაფიებს...

და მაინც, როგორია სილამაზის ბედი? იგორ ობოლენსკის კრებული ამ კითხვას ქართველ მშვენიერ ქალთა ცხოვრების აღწერით პასუხობს და მრავალ ფიქრს აღძრავს – ქვეყნად ყოველივეს, მათ შორის, სილამაზის წარმავალობის შესახებ.

**მირანდა ნაბახტეველი,**
**მილენა ოქროპირიძე**

**„კვირაძალს საკითხავის“ გვერდები მოამზადეს მარკეტინგისა და მედიაკომუნიკაციების ინსტიტუტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებმა.**

წიგნი

# გვანცა კოპლატაძის ღვაწლი რწმენის, სასოებისა და სიყვარულის გადასარჩენად

**როცა ამ უნიჭიერესი და ფუტკარივით მშრომელი ქალბატონის საერო და საეკლესიო ღვაწლზე ვფიქრობ, სული მზით და რწმენით მინათდება.**


გვანცა კოპლატაძე

გვანცა კოპლატაძეს დღეს მთელი წიგნიერი საქართველო იცნობს. ის კეთილშობილების, უბრალოების, შრომისმოყვარეობის, პრინციპულობის მაგალითია.

გვანცა კოპლატაძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღზრდილია. მთავარი მიწიერი და სულიერი ფუფუნება, რომლითაც გვანცა ამაყობს, ჩვენი დედაეკლესია, მისი საჭეთმაპყრობელი ილია II, დედაუნივერსიტეტი და სტუდენტი-ახალგაზრდობაა.

სწორედ მისი უწმინდესობის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით და დავალებით გვანცა კოპლატაძემ შექმნა ხელიხელსაგოგმანები წიგნი „ქრისტიანული ეკლესიის ისტორია“, რომლის მესამე შევსებული გამოცემაც შესანატრ იშვიათობად იქცა და ჩვენი ისტორიკოსების, მკითხველი საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია.

თუმცაღა, მუდამჟამს ქრისტიანულად მორიდებულმა და უპრეტენზიო მკვლევარმა წიგნს დააწერა „შეადგინა გვანცა კოპლატაძემ“, მაგრამ ნებისმიერმა მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ეს ძირითადად გვანცა კოპლატაძის ნათელი ნააზრევია ქართველი მრევლისთვის, სტუდენტობისთვის ქართულად (უნაკლო, დახვეწილი, ყველასთვის გასაგები ქართულითძ დაწერილი. რაღა თქმა უნდა, ისტორიული ფაქტები ყველას საკუთრებაა, მათ შორის ცნობილი მკვლევარის ალექსანდრა ბახმატევასი, რომლის შთამბეჭდავი ნაშრომი 12-ჯერ გამოვიდა ერთმორწმუნე რუსეთში და რომლითაც იხელმძღვანელა ქალბატონმა გვანცამ. როგორც თვითონ განმარტავს, ბახმატევას წიგნიდან ხელმძღვანელობა არა იმდენად მასალის გადმოტანას გულისხმობს, რამდენადაც მისი გადმოცემისა და ანალიზის მეთოდის გამოყენებას.

პროფესორ გვანცა კოპლატაძის წიგნი პირწმინდად ქართული, ქართველი მკითხველისთვის დაწერილი უზარმაზარი ნაშრომია, რომელსაც ბიბლიასავით ეწაფება მართლმადიდებელი მრევლი.


ქრისტიანული ეკლესიის ისტორია
I ს. – XV ს. შუა წლები
(დასაბამიდან კონსტანტინეპოლის დაცემამდე)
შეადგინა
გვანცა კოპლატაძემ
მესამე შევსებული გამოცემა
საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა
თბილისი, 2009


სიტყვით გამოდის მეუფე დანიელი

სამების საკათედრო ტაძარში, ახალგაზრდულ ცენტრში, ამ ძვირფასი წიგნის კურთხევისადმი მიძღვნილ საღამოზე „ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის“ შექმნის, მისი უნიკალურობის, რწმენის, სასოებისა და სიყვარულის გადარჩენის საშვილიშვილო საქმეში გვანცა კოპლატაძის ღვაწლზე ისაუბრეს პროფესორებმა **სერგო ვარდოსანიძემ, ნოდარ ლომოურმა, თამარ შაკიაშვილმა, რისმაგ გორდეზიანმა, გრიგოლ რუხაძემ, ირაკლი ბრაჭულმა, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, მეუფე დანიელმა და ჩვენმა გამოჩენილმა პოეტმა ჯანსულ ჩარკვიანმა.**

შეკრებილთ მადლობა მოახსენა ქალბატონმა გვანცა კოპლატაძემ და აღგვითქვა, რომ... უფლის ნებით და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევით, ამ ნაშრომის (წიგნი მოიცავს ქრისტიანული ეკლესიის ისტორიას დასაბამიდან კონსტანტინეპოლის დაცემამდე – XV საუკუნის შუა ხანებამდე!ძ წერას გააგრძელებს!

**ეს მართლაც აუცილებელზე აუცილებელია, რადგანაც რწმენა, სასოება და სიყვარული ჯერ კიდევ ბევრ ქართველშია გადასარჩენი.**

სპარტაკ ქოზულია

სლავა ჭანტურიას ფოტო

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

*რეალური საფრთხეა თუ სიტუაციის გამძაფრება? ქართული ტელეკომპანია „იმედის“ სკანდალურმა რეპორტაჟმა ცეცხლს ნავთი დაუმატა თბილისსა და მოსკოვს შორის დაძაბულ ვითარებაში. ახალი ამბების იმიტირებულ გამოშვებაში ჟურნალისტებმა წარმოადგინეს რუსეთ-საქართველოს ახალი ომის შესაძლო სცენარი. რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი აცხადებს ინტერვენციის დაწყების შესახებ, თეთრი სახლის ხელმძღვანელი ბარაკ ობამა – თავისი აღშფოთების შესახებ... თბილისში ევაკუირებულია სახელმწიფო დაწესებულებანი, პრეზიდენტი სააკაშვილი მოკლულია, ქართველი სამხედროები კი გადავიდნენ მტრის მხარეზე და ა.შ და ა.შ. პრობლემა ის არის, რომ გამოგონილი ისტორია საქართველოში აღიქვეს, როგორც რეალური. ქვეყანაში დაიწყო პანიკა. ერთი ნახევარმა საათმა ხალხის ხსოვნაში გააღვიძა 2008 წლის აგვისტოს მოვლენები. ტელეკომპანია დამნაშავეა იმაში, რომ ქრონიკის დროს არ ყოფილა გამაფრთხილებელი წარწერა, ხელმძღვანელობამ ბოდიში მოიხადა, ისინი, ვინც გულის შეტევები მიიღო, გამოკეთდნენ. მაგრამ ამ ისტორიაში არის ერთი „მაგრამ“. ხალხმა იწამა, ვინაიდან ეს ჰგავდა სიმართლეს. მედვედევის „განცხადებაში“ არაფერია ახალი საქართველოს პრეზიდენტის ტერორისტებთან კავშირის შესახებ. ამის შესახებ მოსკოვში ყოველთვის საუბრობენ. რას უნდა ველოდოთ სამომავლოდ? რაშია დაპირისპირების არსი და სად არის გამოსავალი?*

*რას ამბობს ინტერვიუში რუსეთის ერთ-ერთი ოპოზიციური ლიდერი ბორის ნემცოვი.*

# ქართული „იმედი“ რუსულ აგრესიაზე

**– საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ცოტა უფრო ადრეც, თბილისსა და მოსკოვს შორის ურთიერთობა პერმანენტულად მწვავდებოდა. რა არის უკანასკნელი გამწვავების მიზეზი, რომელიც მედვედევის პრეზიდენტობას დაემთხვა?**

– მედვედევის შესახებ ცოტა მოგვიანებით ვისაუბრებთ. პრობლემებია პუტინთან დაკავშირებით. ხომ გესმით, მას ფიზიოლოგიური ზიზღი აქვს. ეს დიაგნოზია. მე, რასაკვირველია, ექიმი არა ვარ, მე მხოლოდ ექიმის შვილი ვარ, მაგრამ მას საკაშვილი ეზიზღება ფიზიოლოგიურ დონეზე. და ეს, სხვათა შორის, ცუდია. მესმის, რომ პოლიტიკა ემოციური საგანია, მაგრამ იტანჯება სრულიად უდანაშაულო ხალხი პუტინის პიროვნული პრობლემების გამო.

**– მაგრამ კრემლი ხომ ბრალს სდებს თბილისს ტერორისტებისთვის ხელშეწყობაში...**

რაში არ სდებს ბრალს საქართველოს პუტინი, მის შემდეგ კი – მედვედევი! რაც უფრო ადრე მოვახერხებთ რუსეთის დეპუტინიზაციას, მით ნაკლები ბოდვა იქნება ტერორიზმისადმი ხელშეწყობის შესახებ. მე ეს არა თუ არ მწამს, მე ეს პროცენტის მეათასედი წილითაც კი არ მწამს. რატომ? იმიტომ, რომ საქართველოს სურს ნატოში შესვლა. ნატოსთვის კი პრიორიტეტი – ეს არის ბრძოლა ტერორიზმთან. თუ თუნდაც ერთი ფაქტი დამტკიცდებოდა, მაშინ ნატოსკენ მოძრაობის ვექტორი შეწყდებოდა.

**– სხვათა შორის, რუსეთის მოძრაობის შესახებ. რახან ასეა ერთმანეთთან დაკავშირებული რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა რუსეთის შიდაპოლიტიკურ პროცესებთან, მაშინ ხომ არ უნდა ავიღოთ საფუძვლად რუსეთის ნათელი მომავლის შესახებ თანამედროვე განვითარების ინსტიტუტის მოხსენება „რუსეთი XXI საუკუნეში: სასურველი ხვალის სახე“. ეს სასურველი ხვალე – დემოკრატიულია.**

– ეს მოხსენება გვიხატავს მეტად სასიამოვნო და სასურველ მომავალს ჩემთვისაც და ყველა ნორმალური ადამიანისთვისაც რუსეთში. ეს არის ევროპული ქვეყანა, დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც მეგობრულად ეპყრობა თავის მეზობლებს, თავი მიაჩნია მსოფლიო ცივილიზაციის ნაწილად. ჰერბერტ უელსის დროიდან ფანტასტიკოსი მწერლები ხშირად ხატავდნენ რუსეთის მომავალს. ეს არის, თქვენ წარმოიდგინეთ, მომავლის ყველაზე ვარდისფერი სურათი, რაც კი წამიკითხავს. „მოსკოვი 2042“ – ეს სხვა სურათია. ევგენი გონტმახერმა და იგორ იურგენსმა გადაწყვიტეს მჭმუნვარე ტრადიცია დაერღვიათ და დაეხატათ ვარდისფერი სურათი ზეთით. მიუხედავად ამისა, ამ გეგმას აქვს ერთი ნაკლოვანება. ეს ნაკლოვანება ის, რომ მათ მიაჩნიათ: ბატონი მედვედევი – ეს ის კაცია, რომელსაც შეუძლია ააგოს მთელი ეს მომავალი. აი, ეს კი ან მიამიტობაა, ან ასახავს ამ ინსტიტუტის ადგილმდებარეობას. ინსტიტუტი არის მედვედევის დროს და სიმართლის დაწერა იმის შესახებ, რომ ამ ადამიანთან არანაირი სხვაგვარი მომავალი არ იქნება, არამედ იქნება კორუმპირებული, გაღიზიანებული ნავთობის ქვეყანა, – მათ არ შეეძლოთ. მაშინ მათ ფულს არ გადაუხდიან და შენობიდანაც გამოყრიან. ასე რომ, მოხსენება კარგია, მაგრამ პუტინთან და მედევედევთან იმისი აღსრულება, რაც მათ დაწერეს, შეუძლებელია.



**– რა ხდება კრემლის ტანდემთან დაკავშირებით? ძველებურად ხომ არ დავშლით პრეზიდენტისა და პრემიერის კავშირს?**

– არავითარი კავშირი არ არსებობს. არის პუტინი და მისი უმცროსი პარტნიორი გვარად მედვედევი. რუსეთის ტრაგედია ის არის, რომ დაირღვა მრავალსაუკუნოვანი რუსული ტრადიცია. ჩვენთან, რუსეთში, ვინც კრემლშია, ის არის მთავარი. ასე იყო სანამ, იქ მედვედევი მოვიდოდა. ის არ არის სრულფასოვანი პრეზიდენტი. მას მოსწონს პრეზიდენტის საქმიანობა, მისი სიტყვები არაფერს ნიშნავს, ჩინოვნიკები მას დასცინიან, თავისი გუნდი კი მას დღემდე არა ჰყავს, რასაკვირველია, პრეს-მდივან ნატაშა ტიმაკოვას გარდა. ის ბლოგერია, წერს ყოველგვარ სტატიას, რათა დაფანტოს დასავლელი დემოკრატები დარწმუნებით, რომ ჩვენთან არის ხელისუფლების დემოკრატია. მაგრამ არის კიდევ პუტინი – ავტორიტარული ბიზანტიური მმართველი, რომელიც აშენებს პოლიციურ სახელმწიფოს. საერთოდ, არავითარი ილუზიები არ არსებობს. არის სრულფასოვანი ავტორიტარული პოლიციური სახელმწიფო, რომელიც უკიდურესად მტრულადაა განწყობილი ყოველივე ცოცხალისადმი – როგორც შიგნით, ისე გარეთ. რუსეთი ძალიან ჰგავს პუტინის ხასიათს. როგორიცაა მღვდელი, ისეთივეა მიდგომა. აი, ეს არის ყველაფერი. ძალიან ცუდია, რომ მედვედევმა ვერ გამოიყენა თავისი კონსტიტუციური შესაძლებლობანი, რომ ის არ ითვალისწინებს რუსეთის საუკუნოვან ტრადიციებს. ეს, ალბათ, მხოლოდ პიროვნული ტრაგედია როდია. მაგრამ მე, მართალი რომ ვიყო ჩემ თავთან, მიმიფურთხებია მისი პიროვნული განცდებისთვის. მე რუსეთი მეცოდება, იმის ნაცვლად, რომ იყოს კონსტიტუციის გარანტი, ის ეხმარება პუტინს – თელოს რუსეთის სახელმწიფოებრიობის საფუძვლები.

**– ამას წინათ რუსეთს პროტესტის ტალღამ გადაუარა – „რისხვის დღე“ აღნიშნეს 50 ქალაქში. ნუთუ ზევით არ შეუძლიათ, ქვევით კი არ სურთ?**

– ფაქტია, რომ ასეთი მასშტაბის პროტესტი დღემდე რუსეთში არ ყოფილა, რომ ამდენი ათასი კაცი გაიძახოდეს „გადადგეს პუტინი!“, ეს ბევრ რამეზე მეტყველებს. კორუფცია – ეს პუტინიზმის მძიმე მემკვიდრეობაა და იგი ნთქავს არსებითად მთელ რუსეთს. არის კიდევ საერთო რუსული პრობლემები, რომლებიც მეტად გვძაბავენ – ეს არის სიცრუე და ცენზურა. ტოტალური სიცრუე და ტოტალური ცენზურა. არც ერთმა ფედერალურმა არხმა ეს მიტინგები არ აჩვენა. არც ერთმა ტელეარხმა! არ ყოფილა ასეთი მოვლენა!

**– ამ ცოტა ხნის წინათ მმართველ წრეებში მოხდა სკანდალი მირონოვთან დაკავშირებით, მას მოჰყვა ინციდენტი კუდრინთან. მირონოვს პრეზიდენტობაც კი სურს...**

– არის ვერსია, რომ კრემლმა გადაწყვიტა რუსეთელებისა და საერთაშორისო გაერთიანების ყურადღება პოლიტიკური ოპოზიციიდან და მოსახლეობის პროტესტული ნაწილის აქტიურობიდან გადაიტანოს ბუტაფორულ სკანდალურ ისტორიაზე კრემლის კაბინეტებში. მირონოვი – ეს აბსოლუტურად პუტინური ხელის ბიჭია, „შესტიორკაა“. ის ბევრი რამითაა დავალებული პუტინისგან. ამ კაცს ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს უპუტინოდ, გახდა სპიკერი მხოლოდ იმიტომ, რომ ლაქიაობდა პუტინის წინაშე, ულოკავდა ყველა ადგილს, ხელზე კოცნიდა და ა.შ. ამ თვალსაზრისით პუტინის აღშფოთება ჩემთვის გასაგებია. როდესაც შენი მოსამსახურე იწყებს ყვირილს, იმ სურვილის გარდა, რომ უთავაზო მას ფიზიონომიაში, არავითარი სხვა სურვილი არ გიჩნდება. პრინციპულად, მთელი გარეგნული მონოლითური ვერტიკალი სინამდვილეში – ეს არის აბსოლუტურად დამყაყებული და გამყიდველი ფენა და საკმარისია მას ხელი ჰკრა, რომ ყველაფერი დაინგრეს.

## დედამიწის ზურგზე



**ობამამ გამოაქვეყნა თავისი შემოსავალი 2009 წელს – ცოლთან ერთად მან გამოიმუშავა მედვედევზე 48-ჯერ მეტი**

როგორც ცნობილი გახდა, ყველაზე მეტი შემოსავალი ობამას ოჯახის ყულაბაში შემოვიდა პრეზიდენტის წიგნების გაყიდვიდან. ოჯახმა საშემოსავლო გადასახადი გადაიხადა 1 მილიონ 792 ათას 414 დოლარი. მათ აგრეთვე გადასახადების სახით ილინოისის შტატს გადაუხადეს 163303 დოლარი. საქველმოქმედო მიზნებისთვის დახარჯულია 329100 დოლარი.

* * *

**აშშ-ს თავზე გადაუფრინა გიგანტურმა ცეცხლის ბურთმა**

ის დაინახეს მისურის, ინდიანის, ილინოისის, ვისკონსინის და ოჰაიოს შტატების მცხოვრებლებმა. ბურთი იყო კაშკაშა – თითქმის ისეთი, როგორიც მზეა – და ნელა მიიწევდა დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ საღამოს ბნელ ცაზე თითქმის 15 წუთის განმავლობაში. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ეს იყო მეტეორიტი.

* * *

**ყირგიზეთის გადაყენებულმა პრეზიდენტმა გამოაგზავნა განცხადება გადადგომის შესახებ ფაქსით პუტინთან საუბრის შემდეგ**

დოკუმენტი რუსულ ენაზეა, დაწერილია ვრცელი ხელწერით ორ ფურცელზე. იგი მიიღო დროებითი მთავრობის შტაბმა პარასკევ ღამით. ექსპერტები აღნიშნავენ მოსკოვის გადამწყვეტ როლს ბაკიევის მიერ ხელისუფლებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით.



დიდი ტერორი?

## 1937 წლის ცხელი ზაფხული

ცხელი იყო, უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკური თვალსაზრისით. სწორედ მაშინ გაჩაღდა ქვეყანაში ნამდვილი, „დიდი ტერორი“, რომელმაც შეიწირა უამრავი ხალხის სიცოცხლე – მართლებისაც და დამნაშავეებისაც. მასობრივი ტერორისკენ საბოლოო შემობრუნება ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე მოხდა. მაშინ მოხდა სტალინზე ძლიერი შეტევის მცდელობა.

ძველი ბოლშევიკი ტიომკინი ყვებოდა იმის შესახებ, რომ პლენუმის წინ რამდენიმე ხელმძღვანელმა მოაწყო საიდუმლო თათბირების სერია. ამის შესახებ მან გაიგო ი.ა.პიატნიცკისგან, რომელიც ერთი ციხის კამერაში ზის: „ამხ.პიატაკოვი სტალინზე საუბრის დროს ყვებოდა, რომ პარტიაში არის სტალინის პარტიის ხელმძღვანელობიდან ჩამოშორების განწყობილება. 1937 წლის ივნისის პლენუმის წინ გაიმართა თათბირი – „ფინჯანი ჩაი“, როგორც მან მე მითხრა, – მისი, კამინსკისა და ფილატოვის (ეს სახელები მახსოვსძ მონაწილეობით. იმის შესახებ, თუ რაზე ლაპარაკობდნენ, არ უთქვამს. ამ „ფინჯანი ჩაის“ შესახებ სტალინმა მისი მონაწილეებისგან გაიგო (ასე ამბობდა ამხ.პიატნიცკიძ. ის ფილატოვს ასახელებდა“.

მაშინ იარაღად გამოიყენეს საკმაოდ ფრთხილი კრიტიკა – გააკრიტიკონ არა პოპულარული ბელადი, არამედ მის მიერ დაწინაურებული „რკინის სახკომი“ ეჟოვი და თავად შინსახკომი. კარგადაა ცნობილი პლენუმზე ორი გამოსვლის შესახებ, რომლებიც მიმართული იყო შინსახკომის წინააღმდეგ (ოთხი დღის განმავლობაში, 22-დან 26 ივნისამდე, პლენუმის სხდომების სტენოგრაფირება არ ხდებოდა, ამიტომ ბევრ მოვლენაზე შეიძლება ვიმსჯელოთ მხოლოდ თვითმხილველთა მოგონებებზე დაყრდნობითძ. საკითხი შეეხება ჯანდაცვის სახალხო კომისრის გ.ნ.კამინსკისა და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული განყოფილების გამგის პიატნიცკის გამოსვლებს.

კამინსკი ჯერ თავს დაესხა სტალინის კაცს – ბერიას, რომელსაც ბრალი დასდო ინგლისის დაზვერვასთან თანამშრომლობაში, რასაც თითქოს ადგილი ჰქონდა სამოქალაქო ომის დროს. ბერიას ბრალი დასდეს აგრეთვე ამიერკავკასიაში პარტიული ხელმძღვანელობის წინააღმდეგ მოწყობილ რეპრესიებში. შემდეგ კამინსკი ზომიერად გადავიდა შინსახკომზე. მან უნდობლობა გამოუხატა ეჟოვსა და მის უწყებას, ყურადღება მიაქცია მასობრივ დაპატიმრებებს კომუნისტებს შორის: „ასე მთელ პარტიას დავხვრეტთ“.

არადა, თებერვალ-მარტის პლენუმზე კამინსკი „მტრებთან“ ბრძოლის ერთ-ერთი თავგამოდებული მებრძოლი იყო. მაშინ მას პარტიის ბედი არ აწუხებდა. რა მოხდა? იქნებ იმათი დაპატიმრება დაიწყეს, ვისი დაჭერაც არ იყო საჭირო? მაგალითად, სამხედრო შეთქმულებისა და მასთან დაკავშირებული საოლქო კომიტეტების მდივნებისა?

არანაკლებ კრიტიკული იყო პიატნიცკის გამოსვლაც. მან განაცხადა, რომ შინსახკომი თხზავს საქმეებს და საჭიროა მისი კომპლექსური შემოწმება. ეს გამოსვლა მეტად მნიშვნელოვანი იყო. საქმე ისაა, რომ პიატნიცკის განყოფილება სწორედ უშიშროების ორგანოების პარტიული ხაზით კურირებას აწარმოებდა. და, სხვათა შორის, თავად პიატნიცკი უშუალოდ მონაწილეობდა მოსკოვის პროცესებისა და პოლიტიკური დევნის ორგანიზაციაში, რომლებიც სანქციონირებული იყო თებერვალ-მარტის პლენუმით. და ეს კიდევ უფრო მეტად გვარწმუნებს, რომ შინსახკომის კრიტიკოსები წინააღმდეგი იყვნენ არა რეპრესიებისა, როგორც ასეთისა. მათ აღელვებდათ ის, რომ რეპრესიები სხვა გზით წავიდა.

პიატნიცკის გამოსვლა სტალინისთვის მოულოდნელი იყო. თავდაპირველად ის ცდილობდა დაერწმუნებინა იგი, წაეღო უკან თავისი სიტყვები. პიატნიცკი სტალინმა 1932 წელს წამოიყვანა კომინტერნიდან, სადაც ის საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილებას ხელმძღვანელობდა, რაც მაშინ რაღაც სპეცსამსახურის მაგვარი იყო. პიატნიცკის არ სწამდა სახალხო ფრონტის იდეა, და ეს ობიექტურად აახლოებდა მას სტალინთან და, პირიქით, აშორებდა კომინტერნის ბიუროკრატიას. ბელადს იმედი ჰქონდა, რომ ცენტრალური კომიტეტის აპარატში მუშაობა „გამოასწორებდა“ პიატნიცკის, გადააქცევდა მას სტალინის იდეების გამტარებლად, მაგრამ პიატნიცკი აგრძელებდა მსოფლიო რევოლუციის იდეებით ცხოვრებას. ის ფსონს შეთქმულ ავანტიურისტებზე ჩადიოდა, რომელთა წმენდაც მაის-ივნისში დაიწყეს.

შეტევის სხვა მონაწილეთა შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ მხოლოდ ვარაუდით. მე მჯერა ვ.როგოვინის რეკონსტრუქციისა. მან აღნიშნა, რომ პლენუმის მუშაობის სულ ბოლოს სტალინმა წამოაყენა წინადადება გამოეყვანათ ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან მოულოდნელად დაპატიმრებული მ.ს.ჩუდოვი, ი.ფ.კოდაცკი და ი.პ.პავლუნოვსკი. ეტყობა, ისინიც სტალინის წინააღმდეგ გამოვიდნენ.

ჩუდოვი და კოდაცკი „კიროვის გვარდიის“ წარმომადგენლები იყვნენ. ერთი ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი იყო, მეორე – ლენინგრადის ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარე. ჟდანოვმა, რომელიც ლენინგრადის ხელმძღვანელი გახდა კიროვის მკვლელობის შემდეგ, უმალვე როდი შეძლო კიროვის მიერ დაწინაურებული ამ ხალხის ჩამოცილება მათი მაღალი პოსტებიდან. თავდაპირველად კადრების გადაადგილება მან მხოლოდ რაიკომების მდივნების დონეზე შეძლო.

შევნიშნავთ, რომ თავად კიროვი უმჭიდროესად იყო დაკავშირებული ტუხაჩევსკისთან, რომელიც ოდესღაც ლენინგრადის სამხედრო ოლქის სარდალი იყო. ეს უმალვე რაღაცაზე გაფრთხილებს და გაიძულებს ივარაუდო ჩუდოვისა და კოდაცკის (და სტალინის ყველა კრიტიკოსისაც ივნისის პლენუმზეძ სამხედრო შეთქმულებთან კავშირზე.

ალექსანდრ ელისეევი

# 1937 წლის გამოცანის ამოხსნა

## „საუკუნის დანაშაული“ თუ ქვეყნის გადარჩენა?




უკვე პლენუმის მუშაობის დროს დააპატიმრეს კამინსკი, ჩუდოვი, კოდაცკი, პავლუნოვსკი. პიატნიცკისთან დაკავშირებით საქმე გაჭიანურდა – ძალიან მძიმე იყო მისი მდგომარეობა. მსოფლიო რევოლუციის ეს ფანატიკოსი მხოლოდ 6 ივლისს დააპატიმრეს. თითქოსდა, სტალინს უნდა ეზეიმა. მაგრამ მას ზეიმისთვის არ ეცალა.

შეტევა სტალინზე ჩაიშალა არანაკლებად იმის გამო, რომ ამ შეტევას მხარი არ დაუჭირეს „რეგიონალებმა“. მათ ბევრი პრეტენზია ჰქონდათ იოსებ სტალინთან, თუმცა მისი ჩამოგდება მათ, უკიდურეს გაჭირვებამდე, არ სურდათ. ჯერ ერთი, ამის გაკეთება არც ისე იოლი იყო, მეორეც, მათ არ ჰქონდათ დაკარგული იმედი, რომ გამოიყენებდნენ „ხალხთა ბელადის“ ზეპოპულარობას თავიანთი უმსგავსოებისთვის. თანაც დიდი იყო ფართომასშტაბიანი სახალხო მღელვარების გამოწვევის რისკი.

„როგორ აღიქვამს ხალხი, იგივე „მასები“, ასეთ ნაბიჯს? – სვამს რეტროსპექტულ შეკითხვას ე.ა.პრუდნიკოვა. – ამ დროს მასში სახელმწიფო გადატრიალება რომ დაინახონ? მათ არ შეიძლებოდა, არ ხსომებოდათ, თუ მანამდე ოცი წლით ადრე როგორ უბრალოდ წალეკა ქვეყანამ არა თუ რაღაც ხელისუფლება, არამედ მთელი სოციალური ფენები, საზოგადოების მთელი ზედაფენა, გაცილებით უფრო ძლიერი, არმიასა და პოლიციაზე დაყრდნობით. რას უნდა დაყრდნობოდნენ ისინი, თუ „კრონშტადტიდან ვლადივოსტოკამდე“ დაიწყება ყვირილი: „ჩვენი მამა-მეფე მოკლეს!“ შეიძლება ეჭვი არ შეგვეპაროს, რომ ხალხს სიბრაზე „სისხლით განბანილებზე“ იმდენი დაუგროვდა, რომ შეიძლება ვინმე კედელთანაც არ მიეყენებინა და ისე გაეგლიჯა ხელებით. რასაკვირველია, შეიძლება შეეცადო დახვრიტო მოსახლეობის უკვე არა ერთი პროცენტი, არამედ ათი, ოცი პროცენტი. და მაინც რომ არ გამოვიდეს? მით უმეტეს, რომ აგერ-აგერ დაიწყება ომი, და დამარცხების შემთხვევაში ყველა კომუნისტს ჩამოჰკიდებდნენ ნათურის ბოძებზე“ (**ხრუშჩოვი. „ტერორის შემოქმედნი“**).

ყოველივე ამის გათვალისწინებით, რეგიონალებმა გადაწყვიტეს ამჯერადაც მხარი დაეჭირათ სტალინისთვის. მაგრამ ამ მხარდაჭერისთვის მათ მეტი უფლებები მოითხოვეს რეპრესიული პოლიტიკის განხორციელების თვალსაზრისით. არგუმენტები რკინისა ჰქონდათ – აბა როგორ, შეხედეთ რამდენი მტერია ირგვლივ! მაშასადამე, მათთანაც ბრძოლა უნდა წარმოებდეს უმკაცრესი.

რეგიონალების ლიდერებმა გაუნადგურებელ შეთქმულთა იერიში გამოიყენეს იმისთვის, რომ კიდევ უფრო დაეშალათ, დაეცარათ ტერორის მქნევარა. შინსახკომის კრიტიკოსებმა წარმოქმნეს საბაბი „სიფხიზლის გაძლიერებისთვის“. 28 ივნისს ეიხეს წინადადებით დასავლეთ ციმბირში შეიქმნა ყველაზე პირველი დამსჯელი „სამეული“, რომელიც შედგებოდა საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის, ოლქის პროკურორისა და შინსახკომის ადგილობრივი სამმართველოს უფროსისგან. ნიშანდობლივია, რომ ამ დღეს სტალინი დიდხანს საუბრობდა რეგიონალებთან, რომლებიც რიგრიგობით შედიოდნენ მასთან კაბინეტში. მარტო ვარეიკისთან ბელადი ორი საათი საუბრობდა. ცხადია, ამ დღეს მიმდინარეობდა ვაჭრობა ორ ჯგუფს შორის, რაც რეგიონალების სასარგებლოდ დასრულდა.

რამდენიმე დღის შემდეგ კი, 2 ივლისს, პოლიტბიურომ მიიღო გადაწყვეტილება „სამეულების“ ყველგან შექმნის შესახებ. ამ ორგანიზაციებმა კოშმარულად აღადგინეს სამოქალაქო ომის პრაქტიკა თავისი რევკომებით. ეჭვი არაა, რომ მათი შექმნა ხელსაყრელი იყო, უწინარეს ყოვლისა, რეგიონალებისთვის. ეს აძლიერებდა მათ პოზიციებს ორგანიზაციული თვალსაზრისით და შესაძლებლობას ანიჭებდა გაეძლიერებინათ რეპრესიული პოლიტიკა ადგილებზე. სტალინისთვის კი „სამეულები“ ქმნიდნენ ახალ საფრთხეს. ესენი იყვნენ სტრუქტურები, რომლებსაც შეეძლოთ შეექმნათ ცენტრისთვის ნამდვილი დაპირისპირება.

პოლიტბიუროს 2 ივლისის დადგენილებაში ნათქვამი იყო შემდეგი: „შეინიშნება, რომ ყოფილი კულაკებისა და სისხლის სამართლის დამნაშავეების დიდი ნაწილი, რომლებიც ერთხანს სხვადასხვა ოლქებიდან გაასახლეს ჩრდილოეთისა და ციმბირის რაიონებში, ვადის გასვლის შემდეგ კი დაბრუნდნენ თავიანთ ოლქებში, – არიან ყოველგვარი ანტისაბჭოთა და დივერსიული დანაშაულებების წამომწყებები როგორც კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ისე ტრანსპორტზე და მრეწველობის ზოგიერთ დარგში. სკპ (ბძ ცენტრალური კომიტეტი სთავაზობს საოლქო და სამხარეო ორგანიზაციების მდივნებსა და შინსახკომის ყველა საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკურ წარმომადგენლებს აიყვანონ აღრიცხვაზე ყველა დაბრუნებული კულაკი და სისხლის სამართლის დამნაშავეები, რათა მათგან ყველაზე მტრულად განწყობილები სასწრაფოდ იქნენ დაპატიმრებული და დაიხვრიტონ მათი საქმეების სამეულში ადმინისტრაციული გატარების წესით, დანარჩენები კი, ნაკლებად აქტიურები, მაგრამ მაინც მტრული ელემენტები, გაიგზავნონ რაიონებში შინსახკომის მითითებით“.

ეს ყოველივე გაუგებრობას იწვევს. ჯერ მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინათ „უფლებააყრილებს“ დაუბრუნეს ყველა მათი უფლება, ახლა კი საჭირო იყო მთლიანად „ბრუნვაში ჩათრევა“. როგორ შეიძლება? აშკარაა ორი სრულიად სხვადასხვა პოლიტიკური ხაზის შეჯახება, რომელთაგანაც ერთმა აჯობა მეორეს. და ეს აშკარაა – არ ყოფილა სტალინის ხაზი. რეგიონალრი „სამეულების“ შექმნა, რომელთა დანიშნულებაც იყო ჯერ კიდევ გუშინ თავიანთ უფლებებში მთლიანად აღდგენილი ხალხის დასჯა, ხელსაყრელი იყო მხოლოდ პირველი მდივნისთვის ადგილებზე (შემთხვევითი ხომ არ ყოფილა, რომ პირველი „სამეულის“ შექმნის ინიციატორად სწორედ ეიხე გამოვიდაძ. ეს ამტკიცებდა მათს ხელისუფლებას და იძლეოდა საშუალებას, მოეწყო საბოტაჟი რეფორმების წინააღმდეგ. ვითომ, რა რეფორმები, რა კადრების როტაციაა, როცა ირგვლივ ამდენი მტერიაო?! დადგენილება ირიბულად ურტყამდა 1937 წლის საკონსტიტუციო რეფორმის ორგანიზატორებსაც. მათ თითქოს საყვედურობდნენ კიდეც – აი თქვენ აპატიეთ „უფლებააყრილებს“, ისინი კი კონტრები აღმოჩნდნენო...

სხვათა შორის, ეს განმარტება საშუალებას გვაძლევს გავიგოთ – ვინ იყო დამნაშავე 1937 წელს სამღვდელოების წინააღმდეგ გაჩაღებულ შემზარავ რეპრესიებში. მაშინ 33 ათასი მღვდელი დააპატიმრეს. არადა, ქვეყანაში ხომ უკვე იწყებოდა ანტისაეკლესიო პროპაგანდის შეკვეცა. მაგალითად, დაიხურა გაზეთი „ბეზბოჟნიკი“ და რამდენიმე სხვა ანტირელიგიური გამოცემა რესპუბლიკაში (მაგალითად, უკრაინული „ბეზვერნიკი“ძ. და უცებ – მასობრივი რეპრესიები სამღვდელოების წინააღმდეგ. კვლავ ორი სრულიად სხვადასხვა ხაზი.

## რეგიონალების მარცხი

რეგიონალები, თანამედროვე გამოთქმა რომ ვიხმაროთ, მისწვდნენ იოსებ სტალინს. მან გადაწყვიტა წამოეწყო ღია შეტევა წითელი ვაჟბატონების წინააღმდეგ და დაიწყო ეს ყველაზე ძლიერისგან მათ შორის – კოსიორისგან. 1937 წლის აგვისტოში უკრაინაში ჩავიდა ხელმძღვანელი ჯგუფი მოლოტოვის, ხრუშჩოვისა და ეჟოვის შემადგენლობით. ჯგუფს თან ახლდა შინსახკომის სპეციალური ჯარების კონტინგენტი. როდესაც მივიდნენ სკპ (ბძ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, მოსკოვიდან გაგზავნილებმა მოითხოვეს კოსიორისა და უკრაინის სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ლუბჩენკოს მოხსნა მათი პოსტებიდან. კოსიორის ადგილზე ხრუშჩოვის დაყენებას სთავაზობდნენ.

მაგრამ სტალინის ჯგუფმა აშკარად ზედმეტად შეაფასა თავისი ძალები. პლენუმი აჯანყდა და უარყო მოსკოვის მოთხოვნა. მაშინ სტალინმა გადაწყვიტა ემოქმედა უფრო ეშმაკურად. მან მოლოტოვის მეშვეობით შესთავაზა უკრაინის სს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას ჩამოსულიყო დედაქალაქში მოლაპარაკებისა და კომპრომისის მისაღწევად. ამ წინადადებამ განხეთქილება გამოიწვია უკრაინელ ბოსებს შორის. თუ კოსიორი მზად იყო კომპრომისისთვის, ლუბჩენკო კატეგორიულად მოითხოვდა კონფრონტაციის გაძლიერებას. გაიმარჯვა კოსიორმა, რომელმაც ამ უკანასკნელს ბრალი დასდო უკრაინაში „ნაციონალ-ფაშისტური ორგანიზაციის“ შექმნაში. პირველი მდივანი შეეცადა გადაეცა მოსკოვისთვის ლუბჩენკო ანგარიშის გასასწორებლად, მაგრამ იქ ასეთ „საჩუქარზე“ უარი განაცხადეს, აღნიშნეს, რომ უკრაინის ხელისუფლებამ თვითონ უნდა გაარკვიოს თავისი პრემიერის საქმე. ხელისუფლება, რასაკვირველია, ამას გააკეთებდა, მაგრამ ლუბჩენკომ მას დაასწრო – მან თავი მოიკლა პისტოლეტით და მოკლა თავისი ცოლი. კოსიორი ჩავიდა მოსკოვში, სადაც სიხარულით აცნობა, რომ გახსნილია „ნაციონალ-ფაშისტური შეთქმულება“. მას ნება მისცეს დაბრუნებულიყო უკრაინაში.

ახლა სტალინმა შეწყვიტა წინააღმდეგობის გაწევა ტერორისთვის, რომელიც გარდაუვალი გახდა. მან მიიღო გადაწყვეტილება აქტიურად ჩაერთოს ტერორში, რომ პროცესი გამხდარიყო სამართავი და მიეღო აქედან მაქსიმალური სარგებელი. საბედნიეროდ, სსრ კავშირის ბელადი არ ყოფილა ჯიუტი ჰუმანისტი და ლამაზსულიანი მოაზროვნე. ის იყო პრაგმატიკოსი და ესმოდა, რომ თუ რომელიმე პროცესის შეჩერება შეუძლებელია, მას თავად უნდა ჩაუდგე სათავეში.

რეგიონალები მიაჩუმათეს. მათგან სულ ახალ და ახალ სისხლს ითხოვდნენ. სტალინმა განსაჯა, რომ, რახან ადგილობრივ ლიდერებს არ უნდათ კადრების დემოკრატიული განახლება, ეს მოხდება დიქტატორული მეთოდებითო.

რეგიონალებმა კმაყოფილების მზადყოფნით დაიწყეს დაპატიმრებები და დახვრეტები. იმავე უკრაინაში კადრების დარბევამ რამდენიმე წრედ ჩაიარა. ბელორუსიაში პირველი მწმენდავი გიკალო იყო, მაგრამ გაზაფხულზე ის შეცვალა შარანგევიჩმა, რომელიც არ ჩამორჩებოდა რეპრესიების მხრივ. დაბოლოს, ის შეცვალა ვოლკოვმა.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 14-70.

ძიუდო



# შვიდეულს პლუს ერთი

**ავსტრიის დედაქალაქ ვენაში 22-25 აპრილს ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატი გაიმართება. ამ შეჯიბრებისთვის ქართველი ფალავნები ბოლო საწვრთნელ შეკრებას დიღომში ოლიმპიური ჩემპიონის შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიის დარბაზში გადიან.** მთავარმა მწვრთნელმა ამირან ტოტიკაშვილმა ნაკრების საბოლოო შემადგენლობა დაასახელა. ვენაში წონითი კატეგორიების მიხედვით იჭიდავებენ: დავით ასუმბანი (60 კგძ, შალვა ქარდავა (66ძ, ზაზა კედელაშვილი (73ძ, ლევან წიკლაური (81ძ, ვარლამ ლიპარტელიანი (90ძ, ლევან ჟორჟოლიანი (100ძ და ზვიად ხანჯალიაშვილი (მძიმე წონაძ. ავსტრიის დედაქალაქში 25 აპრილს გუნდური პირველობაც მოეწყობა. აქ ჩვენს ნაკრებს მძიმეწონოსანი ლაშა გუჯეჯიანი დაემატება.

**სურათზე: საქართველოს ნაკრების წევრები.**

ფარიკაობა

# გამოცდილებას უზიარებს



**მწვრთნელი იგორ ჩიკინიოვი.** ესტონეთში დაბადებულ-გაზრდილი მუშკეტერი 1992 წლიდან შვედეთში ცხოვრობს და ამ ქვეყნის ნაკრების მთავარი დამრიგებელია. ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციის რეკომენდაციით იგი ქართველ მწვრთნელებთან და **ოლიმპიური სოლიდარობის ფონდის ინიციატივითა და დაფინანსებით თბილისში იმყოფება ფარიკაობაში სახელოვანი** სპორტსმენებთან ერთი კვირაა, სემინარებს ატარებს.

**სურათზე: იგორ ჩიკინიოვი მორიგ მეცადინეობაზე.**

ჭადრაკი

# საგზურები – საუკეთესოებს

**თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა 20 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა, რომელიც საკვალიფიკაციო შეჯიბრებაც იყო. მედლებისთვის სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის 54 წარმომადგენელი მონაწილეობდა.**

გოგონებში ყველას აჯობა 14 წლის საგარეჯოელმა ნანი უნაფქოშვილმა, რომელმაც ცხრა შესაძლებლიდან 6,5 ქულა მოაგროვა. მართალია, ასეთივე შედეგებით დაამთავრეს ასპარეზობა მარიამ დანელიამ, სალომე ხაჟომიამ და ლელა უგულავამ, მაგრამ უარესი კოეფიციენტით, შესაბამისად, მეორე-მეოთხე ადგილები გაინაწილეს.

ვაჟებში 7,5 ქულით ჩემპიონობა დავით ლომსაძემ მოიპოვა. გამარჯვებულს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩნენ ლუკა პაიჭაძე და დავით ბენიძე, რომლებსაც „ვერცხლი“ და „ბრინჯაო“ ხვდათ.

ჩემპიონები – უნაფქოშვილი და ლომსაძე წლეულს აგვისტოში 20-წლიანთა მსოფლიოს პირველობაზე გაემგზავრებიან, რომელსაც პოლონეთი უმასპინძლებს.

* * *

**სალონიკიში გრძელდება ვეტერან მოჭადრაკეთა ევროპის ჩემპიონატი.** ქალებში თამარ ხმიადაშვილი მე-6 ტურის პარტიაში ნატალია ტიტორენკოს დაუზავდა, ხოლო ნონა გაფრინდაშვილი ელენა ფატალიბეკოვასთან დამარცხდა. 4,5-4,5 ქულით, სწორედ, ხმიადაშვილი და ფატალიბეკოვა ლიდერობენ.



**სურათზე: 20 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობის ბოლო ტურის შეხვედრა.**

**ვაჟა დანელიას ფოტო.**

მეზობელთან

# ვითომ დოპინგს მოევლება?

**ფიზიკური კულტურისა და სპორტის შესახებ კანონში ცვლილებების შესახებ მეორე მოსმენით იმსჯელა რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ, იქ „დუმას“ რომ ეძახიან. ცვლილებები ძირითადად დოპინგის პრობლემებს ეძღვნება, განსაკუთრებით კი სპორტში მისი გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლას. კანონპროექტში შეტანილია ცნებები „დოპინგი“, „დოპინგი-კონტროლი“ და „ანტიდოპინგური უზრუნველყოფა“.**

როგორც სათათბიროს ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ, ცნობილმა მხატვრულმა მოციგურავემ ანტონ სიხარულიძემ განაცხადა, მეორე მოსმენისთვის კანონპროექტზე შევიდა 61 შესწორება, საიდანაც 41-ს კომიტეტმა მიღებაზე რეკომენდაცია გაუწია.

კანონპროექტი, კერძოდ, ითვალისწინებს ეროვნული დოპინგსაწინააღმდეგო ორგანიზაციის სამართლებრივი სტატუსის განმტკიცებას. დოკუმენტის თანახმად, ესაა არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც აღიარებულია საერთაშორისო ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ. ის შეიმუშავებს სრულიად რუსეთის ანტიდოპინგურ წესებს, უზრუნველყოფს მათ შესრულებას და დოპინგ-კონტროლის განხორციელებას. აღმასრულებელი ხელისუფლების ფედერალური ორგანო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დარგში გამოდის რუსეთის სახელით, როგორც ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი. სრულიად რუსეთის ანტიდოპინგური ორგანიზაცია შეიმუშავებს რუსეთისთვის სავალდებულო დოპინგსაწინააღმდეგო წესებს, აყალიბებს ტესტირებისთვის სპორტსმენთა სიებს, ატარებს ამ ტესტირებას, ამუშავებს სპორტში დოპინგის აღმოფხვრისთვის ბრძოლის მეთოდიკასა და ინსტრუქციებს.

თუმცა, ზოგ-ზოგნი ფიქრობენ, რომ მხოლოდ კანონი ვერ უშველის დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლას.

ჩოგბურთი

# პირველი ბარიერი გადალახეს

**ქაიროში (ეგვიპტეძ ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირზე (25 ათასი დოლარიძ პირველი ბარიერი წარმატებით გადალახა სოფიო ქვაცაბაიამ – მან ფრანგი ნატალი პიქვიონი დაამარცხა – 6:4, 6:2.**

ასტანაში (ყაზახეთიძ 10-ათასიან ტურნირში გამოდის მანანა შაფაქიძე, რომელიც პირველ ნომრად არის განთესილი. ასპარეზობის სტარტზე მან მე-5 ნომრად განთესილ დიანა არუთინოვას მოუგო 6:2, 6:1 და მომდევნო ეტაპზე გავიდა.



ქალთა ფეხბურთი

# ისევ წააგეს



**საქართველოს ფეხბურთელ ქალთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მონაწილეობს. შარშან ჩვენები სტუმრად საბერძნეთის ნაკრებთან 0:5 დამარცხდნენ. განმეორებითი შეხვედრა თბილისში გაიმართა. მასპინძლებმა ამჯერად 0:3 დათმეს შეხვედრა.**

ამ შესარჩევ ციკლში საქართველოს ქალთა ნაკრებს ერთი ორთაბრძოლა დარჩა გასამართავი – 21 აგვისტოს ბულგარეთის ნაკრებს დაუპირისპირდება.

ინტერნეტიდან

## ბილეთების რიგში გარდაიცვალა

**როგორც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან იტყობინებიან – წლევანდელი მთავარი საფეხბურთო მოვლენის წინ – მსოფლიო ჩემპიონატის ბილეთის რიგში მრავალსაათიან დგომას ვერ გაუძლო ერთ-ერთი გულშემატკივრის გულმა და პენსიონერი ფეხბურთის მოყვარული გარდაიცვალა.**

ეს კეიპტაუნის ცენტრში მოხდა. 64 წლის მამაკაცი უდიდეს რიგში 565-ე იყო.

სამხრეთ აფრიკის ქვეყანაში გასაყიდად გამოიტანეს 540 ათასი ბილეთი. 120 ათას სამხრეთაფრიკელს შეუძლია სანუკვარი ბილეთის ძალზე იაფად, რაღაც 20 დოლარად შეძენა. ბევრ გულშემატკივარს რიგში დროზე ჩადგომისთვის ღამეების ქუჩაში გათენებაც კი მოუხდა.

„ასე უზარმაზარ რიგში უკანასკნელად ვიდექი, როცა ხმას ვაძლევდი ნელსონ მანდელას“, – განაცხადა ერთ-ერთმა გულშემატკივარმა.







## თვითმფრინავის ავარია ავსტრალიაში

**საბედნიეროდ, გუშინწინ ავსტრალიის პეტრიში მომხდარი თვითმფრინავის ავარია უმსხვერპლოდ დამთავრდა. მორიგი ავიარბოლის Red Bull Air Race წინ ვარჯიშის დროს ავარიაში მოხვდა ბრაზილიელი პილოტი ადილსონ კიდელმანნი – მისი თვითმფრინავი მდინარე სუონში ჩავარდა.**

კიდელმანნმა წყალში მხოლოდ რამდენიმე წუთს დაჰყო, ის მაშველებმა ამოიყვანეს და ჰოსპიტალში გააქანეს.

## განა მოღალატე ეთქმის?

**ჩვენ უკვე ვწერდით ხმაურიან სკანდალზე მეგოლფე ტაიგერ ვუდსსა და მის ლამაზმან ცოლს შორის. როგორც ამბობენ, სწორედ ამ უკანასკნელმა აიძულა ამერიკული პრესა, შეედგინა მოღალატე ცოლების რეიტინგ-სია.**

ამ ჩამონათვალში ბრიტნი სპირსსა და ჯენიფერ ლოპესთან ერთად ფიგურირებს ინგლისელი მოდელი, მსახიობი, ინგლისელი რაგბისტ დელი ჩიპრიანის სატრფო კელი ბრუკი.

კელი ღალატობდა თავის ბოიფრენდს, ულამაზეს ჯეისონ სტეტჰემს მისსავე მეგობარ მსახიობთან, ნაკლებად მიმზიდველ ბილი ზეინთან, „ტიტანიკში“ რომ მონაწილეობს. ის ლამაზმანმა გაიცნო ფილმის „სექსი გადარჩენისთვის“ გადაღებაზე, 2004 წელს.



შეგახსენებთ, რომ კელი თითქმის შვიდი წელი ცხოვრობდა „ადრენალინის“ გმირ ჯეისონთან, მაგრამ ბოლოს მაინც ბილთან გადაბარგდა, რომელთანაც 5 წელზე მეტ ხანს ვერ გაძლო, 2008 წელს ისინი გაშორდნენ ერთმანეთს. რაც შეეხება რაგბისტ ჩიპრიანის, მათი რომანი, წელიწადნახევარია, სერიოზული ჩხუბის გარეშე გრძელდება.

◉ რუბრიკის პრემიერა:
ენა მდიდარი...

განყოფილებას უძღვება ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი გივი ბოჯგუა



# „და მის სიკვდილით არ გაგახარებთ“

### 1. საქრახისია უცხო სიტყვებით თავის მოწონება!

**ნახევარი საუკუნის წინათ ირ. აბაშიძე შოთა რუსთაველის ბაგეებით ასე მიმართავდა მშობლიურ ენას და გვაიმედებდა: „მხოლოდ შენ, უჭკნობს, შენ, ხატად ქცეულს, რა დრო, რა დასცემს შენს უკვდავ სხეულს?“ („ხმა კატამონთან“).**

არ გაგვიმართლა! დღეს – ოცდამეერთე საუკუნეში ზოგ-ზოგებს მოუნდომებიათ „ღმერთების ენა“ (ლ. ასათიანი), „მსოფლიური ენა“ (ნ. მარი) ბიჭბუჭების ენად გვიქციონ და დააქციონ კიდეც. მათ არ იციან ან არ უნდათ იცოდნენ, რომ ენა ერის უკვდავებაა – „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“ (გრ. ორბელიანი), რომ „ენა სამღთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“ (ილ. ჭავჭავაძე).



ერთხელაც გავიხსენოთ დიდი ილიას სამი ღვთაებრივი საუნჯე – მამული, ენა, სარწმუნოება. „თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რაღა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით... მშობლიური ენის მიწასთან გასწორებას“. ასე წერდა 23 წლის მამულიშვილი თავის პირველსავე გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილში და წუხდა, რომ ეს სტატია „ჩვენის ენის დამცირებამ დაგვაწერინაო“.

ჩვენ რატომღა უნდა ვაპატიოთ უპატიურთ მშობლიური ენის დამცირება და მიწასთან გასწორება?

თანამედროვე ქართულს მრავალგვარი ჭირი შეჰპარვია დასამცრობად. მათ შორის ერთ-ერთია უცხო სიტყვათა მღვრიე ნიაღვრის შემოჭრა და მშობლიურის განდევნა, რომლითაც ზოგ ვაიპატრიოტს თავი მოსწონს კიდეც – უცხო ენა უკეთ ვიცი, ვინემ ქართულიო. სხვათა ენის სიტყვები მხოლოდ მაშინ უნდა მოიშველიო, როცა მშობლიურში არ მოგეპოვება მისი შესატყვისი. სხვა შემთხვევაში მათი შემოტანა და დანერგვა დანაშაულის ტოლფასია.

მაგალითად:

გავიხსენოთ საინტერესო ტელეგადაცემა „ნიჭიერი“, რომელსაც მთელი საქართველო უყურებს და უსმენს. ჟიურის წევრები და, მათი მიბაძვით, „ნიჭიერის“ მონაწილე ამბროლაურელი ქალები(!) სცენიდან მშობლიურ „ბოშოსავით“ სხაპასხუპით მოგვმართავენ მათთვის უცხო სიტყვით – **კასტინგი.**

რატომ, თქვე კაი დედ-მამის შვილებო, კასტინგი ხომ შემსრულებლის **არჩევას, შერჩევას** ნიშნავს ხმებისა თუ ძულების საფუძველზე! ჰოდა, თქვი ქართულად – **შერჩევა!** რაც შეეხება **ჟიურის** – მისი ქართული შესატყვისი არ გაგვაჩნია და ამიტომ ვიყენებთ უცხო სიტყვას.

**პრეროგატივაო,** – ვამბობთ და ვწერთ. რატომ მოვიძულეთ მშვენიერი ქართული სიტყვა **უპირატესობა?**

**ტრენინგი და ტრენინგიო,** – გავიძახით. ეს ხომ **წვრთნას, ვარჯიშს, წვრთნის რეჟიმს** ნიშნავს! ქართულად თქვი, რატომ იღრძობ ენას!

**ნონსენსი** რომ **სისულელე და უაზრობაა,** უკეთ არ გაიგებს ქართველი კაცი?

**პრაგმატულიო** – ხშირად გვაძალებენ ტელეეკრანიდან. პრაქტიკულად **სასარგებლო,** რეალური **შედეგების** მომცემი გეთქვათ.

რადიოგადაცემაში მოსაბეზრებლად იმეორებენ დღემუდამ **პრევენციაო** (პროვინციაში არ აგერიოთ!). ეგ სიტყვა ლათინური წარმოშობისაა. სიტყვასიტყვით წინ გასწრებას ნიშნავს. უფრო სწორად კი **წინასწარი ზომების** მიღებას ჰქვია რისამე თავიდან ასაცილებლად.

**მონიტორინგი და მონიტორინგიო,** – განსაკუთრებით თავს იდებენ განათლების მუშაკები. არადა, **დაკვირვება და კონტროლი** თუ **შემოწმება** ეთქვათ, უფრო უარიანი იქნებოდა?

**ალიანსიო,** – აუჩემებიათ პოლიტიკოსებს. თქვე ოჯახაშენებულებო, ქართულად განა **გაერთიანება** თუ **კავშირი** არ არის?

ერთი განათლებული კაცი წერს თავის წიგნში – **სლენგიო.** ამ სიტყვას ვერც კი იპოვით ჩვენს მოძველებულ ლექსიკონებში. ერთ ლექსიკონში კი მაინც „გაპარულა“: იგივეა, რაც **ჟარგონი.** ახლა თვით ჟარგონი გახდა ასახსნელი: ზოგჯერ ასე უწოდებენ არასწორ, დამახინჯებულ მეტყველებას რომელიმე საზოგადოებრივი ჯგუფისას.

პარლამენტის მეთაურს ხაზგასმით მოიხსენიებენ **სპიკერად.** არადა, ყველგან თავმჯდომარე ჰქვია. ჩვენ რატომ ვასპიკერებთ, კოლმეურნეობის თავმჯდომარეში რომ არ შეგვეშალოს?

ხელოვნებათმცოდნენი და სხვებიც, მაგალითად, იურისტები საგანგებოდ იყენებენ სიტყვას **რეაბილიტაცია,** რაც **აღდგენას** ნიშნავს (შენობის აღდგენას, ღირსების აღდგენას).

* * *

**დავუჯეროთ აკადემიკოს ვარლამ თოფურიას: „თუ საკუთარ ენაში მოგვეპოვება ცნების, საგნის, მოქმედების გამომხატველი სიტყვა, მაშინ სხვა ენის ლექსიკის სესხება და გამოყენება სრულიად ზედმეტია, უფრო მეტიც: ეს მშობლიური ენის შეუფასებლობა და უპატივცემლობაა, დამახინჯება და წარყვნაა“...**

სანთელი

## ქალბატონ ეთერ ხუფაცარიას ხსოვნას



ნათქვამია, ყოველ ადამიანს განგება თავის მისიას აკისრებს. ამ მისიის შესრულება პიროვნების სიძლიერეზე, მის პასუხისმგებლობაზე, გულის სითბოსა და კეთილშობილებაზეა დამოკიდებული. ეს მისია განსაზღვრავს მისი ცხოვრების წესს. ბედნიერია, როცა ამ ტვირთს ღირსეულად ატარებს, როცა შეეძლება თქვას – აღვასრულე მე ჩემი ვალი!

ეს თქვენ შეგეძლოთ გეთქვათ, ქალბატონო ეთერ! მთელი ცხოვრება რომ ყრუ და სმენადაქვეითებული ბავშვების განათლებას, საზოგადოებაში მათი რეაბილიტაციის საქმეს შეალიეთ. არა შეცოდება, არამედ თანადგომა! – ეს იყო თქვენი მოწოდება! ყველაფერს აკეთებდით ამ თანადგომისათვის. მეცნიერული კვლევა-ძიება, კოლეგებთან, სტუდენტებთან, მშობლებთან და თქვენს საყვარელ, ბუნებისაგან დაჩაგრულ ბავშვებთან აქტიური თანამშრომლობა, მიღწევები ძალას და ენერგიას გაძლევდათ ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის.

ყველას გვიყვარდით, ყველასათვის სტიმულის მიმცემი, დამხმარე, მასწავლებელი და მეგობარი იყავით. ღმერთსაც ყვარებიხართ... ამ წუთისოფლიდან გასული ბრწყინვალე შვიდეულში შეუერთდით მარადისობას. ჩვენ კი დაგვიტოვეთ მრავალი სამეცნიერო შრომა, პროგრამები, მეთოდური რეკომენდაციები, სპეციალური სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები და ნათელი მოგონება თქვენზე.

თქვენმა წასვლამ დაამწუხრა ჩვენი გულები. მოგეფერებით ცრემლით და სევდით, მუდამ გვემახსოვრებით და მოვიგონებთ მარადისობაში დამკვიდრებულ თქვენს უკვდავ სულს, ჩვენო კეთილისმყოფელო, მასწავლებელო და მეგობარო ქალბატონო ეთერ!

თბილისის 203-ე ყრუ და სმენადაქვეითებულთა
საჯარო სკოლის კოლექტივი

ვეტერანი ხელბურთელები ჯემალ ცერცვაძე, მამუკა სხიერელი, ზაურ ფხალაძე, გია აბესაძე გულწრფელად თანაუგრძნობენ ზურა კეკელიძეს დედის
ლამარა ბარამიძე-კეკელიძის
გარდაცვალების გამო.

◉ ინფორმაცია

### დააკავეს ზესტაფონელი თაღლითები

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა ყალბი საგადასახადო დოკუმენტაციის დამზადებისა და გასაღების ფაქტზე დააკავეს ინდივიდუალური მეწარმეები ქ. ზესტაფონში მცხოვრები რევაზ დარდაგანიძე და ქ. ოზურგეთში მცხოვრები თენგიზ კვაჭანტირაძე, რომლებმაც დაამზადეს და გაასაღეს ფიქტიური საგადასახადო ანგარიშფაქტურები და ზედნადებები საერთო ჯამში 55 000 ლარზე მეტი ღირებულების სხვადასხვა საქონელზე – სამშენებლო მასალებსა და ჯართზე, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტს მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიადგა.

ორივე ეჭვმიტანილი სამართლადამცველებმა მაშინ დააკავეს, როცა ყალბი დოკუმენტების დამზადების სანაცვლოდ 500-500 ლარი აიღეს.

მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ორიდან ოთხ წლამდე ვადით.

◉ კონკურსი

# გზა წიგნიერებისაკენ

**ძალიან გულსატკენია, რომ ჩვენმა მოსწავლე ახალგაზრდობამ დაივიწყა წიგნი და საათობით კომპიუტერებს არის მიჯაჭვული, რაც მიზეზია იმისა, რომ ყმაწვილები არ იცნობენ როგორც ძველ, ასევე თანამედროვე მწერლებს, არ იციან ვინ დაწერა „სტუმარ-მასპინძელი“, „ბაში-აჩუკი“, „განდეგილი“, „სოლომონ მორბელაძე“, „ჩანჩურა“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „ცაბუნია“, „ჰაკი-აძბა“, „მზიანი ღამე“, „დედა ისტორია“, „დათა თუთაშხია“ და მრავალი სხვა.** სწორედ ამან გადაგვაწყვეტინა მირზა გელოვანის სახელობის ახალგაზრდობის ბიბლიოთეკაში, რომელიც მოსწავლე ახალგაზრდობისათვის განკუთვნილ ერთ-ერთ სპეციალიზებულ დაწესებულებას წარმოადგენს და თავისი პროფილიდან გამომდინარე საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიულ მომსახურებას უწევს მოსწავლეებს და სტუდენტებს, ჩაგვეტარებინა ვიქტორინა-კონკურსი „რა ვიცით ქართული წიგნის შესახებ“.

ამ პროექტის შედგენაში ძალიან დიდი წვლილი შეიტანეს მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა გოჩა ქავთარაძემ და ამ გაერთიანებასთან არსებული შოთა რუსთაველის სახელობის ცენტრალური ბიბლიოთეკის მთავარმა სპეციალისტმა ელისაბედ ჩიხლაძემ. მათი დიდი ძალისხმევით მცხეთის რაიონის სკოლებს შორის მაღალ დონეზე ჩატარდა ვიქტორინა-კონკურსი, გამოვლინდნენ გამარჯვებული სკოლის გუნდები, რომლებიც 18 მაისს შეხვდებიან ქ. თბილისის გამარჯვებული სკოლის გუნდებს.



ვიქტორინა-კონკურსი სამ ტურად ტარდება: შიდა სარაიონო, სადაც თბილისის ხუთი რაიონის სახელმწიფო საჯარო და კერძო სკოლების, ლიცეუმების და გიმნაზიების მოსწავლეები შეეჯიბრებიან ერთმანეთს; საქალაქო, სადაც გამოვლინდება ქ. თბილისის გამარჯვებული გუნდები, რომლებიც ფინალში, 18 მაისს შეხვდებიან მცხეთის გამარჯვებულ გუნდებს, აქ უკვე გამოვლინდება I, II, III ადგილის პრიზიორები, რომლებსაც გადაეცემათ სიგელები და ფასიანი საჩუქრები.

ვიქტორინა-კონკურსში აქტიურად ჩაერთვნენ თბილისში მოქმედი სასწავლო დაწესებულებები – როგორც სახელმწიფო საჯარო სკოლები, ასევე კერძო გიმნაზიები და ლიცეუმები. აქვე გამოვთქვამ დიდ გულისტკივილს, რადგან გაუგებარია, რატომ თქვა უარი ზოგიერთი საჯარო სკოლის დირექტორმა ამ პროექტში მონაწილეობაზე, მათ ისევ თავიანთი სკოლის მოსწავლეები დააზარალეს.

ვიქტორინა-კონკურსი „რა ვიცით ქართული წიგნის შესახებ“ 22 მარტს დაიწყო. პირველი ერთი კვირა გლდანი-ნაძალადევის სკოლები შეეჯიბრა ერთმანეთს, გამოვლინდა ნახევარფინალში მონაწილე გუნდები, მეორე კვირას ისანი-სამგორის რაიონის სკოლის გუნდებს შორის გაიმართა პაექრობა, მომდევნო კვირის დღეებში ასპარეზობას გააგრძელებენ მთაწმინდა-კრწანისის, ვაკე-საბურთალოს და დიდუბე-ჩუღურეთის სასწავლო დაწესებულებების გუნდები.

სასიხარულოა, რომ ამ ვიქტორინა-კონკურსში სულ 100-ზე მეტი სახელმწიფო და კერძო საჯარო სკოლა, ლიცეუმი და გიმნაზია იღებს მონაწილეობას. ჩვენ უკვე გამარჯვებად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ ბავშვები გულწრფელ მადლობას გვიხდიან მისი ჩატარებისათვის და ხმამაღლა აცხადებენ, რომ მათ ბევრი მასალა მოიძიეს და გარკვეული ცოდნაც შეიძინეს.

გვინდა ვიქტორინა-კონკურსი ერთჯერადი არ იყოს, დავაწესოთ გარდამავალი ჯილდო და ჩავატაროთ ყოველწლიურად.

**ქეთევან ნიკურაძე,**
**მირზა გელოვანის სახელობის ახალგაზრდობის ბიბლიოთეკის გამგე.**

### გაძარცვეს კვირაცხოვლობის ტაძარი

**ზუგდიდში კვირაცხოვლობის სახელობის ტაძარი გაძარცვეს. დამნაშავეებმა ათონის მთიდან ჩამობრძანებული ღვთისმშობლის მწრაფლშემსმენელი ხატი მოიპარეს. სიწმინდეს ლითონის ძვირფასი ნაკეთობები ჩამოხსნეს, ხატი კი ახლომდებარე სასაფლაოზე დატოვეს.**

**წაღებულია სასულიერო პირების ნივთები, წმინდა ნაწილები და რამდენიმე სახარება.**

**ძარცვა გვიან ღამით მოხდა. ფაქტზე უკვე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.**

ჯი-ეიჩ-ენი

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

### სულიერება

# თამარობა. მენელსაცხებლე დედათა კვირიაკე



18 აპრილს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია მენელსაცხებლე დედათა კვირას და თამარობასაც დღესასწაულობს.

მენელსაცხებლე დედათა კვირიაკე აღდგომიდან მე-3 კვირას აღინიშნება – მარიამ მაგდალინელის, მარიამ კლეოპას, სალომეს, იოანას, მართას, სუსანასი და სხვა დედათა ცხოვრებას ძალიან ემსგავსებოდა ღვთივკურთხეული თამარ მეფის ცხოვრება.

მეფე თამარმა კლდეში ნაკვეთი ქალაქი ვარძია, ქვაბთახევი, ბეთანია ააშენა. მან გაამდიდრა საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ მდებარე ეკლესია-მონასტრები, ლავრები და სავანეები...

საგულისხმოა, რომ ჩვენი ერი თამარის ხსენებას წელიწადში სამჯერ აღნიშნავს. დღევანდელი მისი ხსენება – მოციქულებრივი ღვაწლის გამოა, რომელიც სრულიად საქართველოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II დააწესა... მის მიერ შესრულებული მეფე თამარის ფრესკა ამშვენებს დიდუბის ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის ჩრდილოეთ კედელს!

**გიული ლიპარტია**

### ინფორმაცია

## ამერიკის ხომალდები მხოლოდ მეგობრული ვიზიტით

გუშინ ფოთის პორტში ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ფლოტის ხომალდი შევიდა.

„ჯონ ჰოლი" საქართველოს მეგობრული ვიზიტით ეწვია.

ეს ამერიკული სამხედრო გემის მეორე ვიზიტია საქართველოში. ფოთის პორტთან ღია აკვატორიაში ამ დროისთვის ქართული სანაპირო დაცვის თანამშრომლებისთვის წვრთნები მიმდინარეობს.

ამერიკელი სამხედროები სანაპირო დაცვის პირად შემადგენლობას აბორდაჟის გადასმას, ცეცხლთან და წყალთან ბრძოლის, ასევე გემის ჩაუქირაობის ოპერაციებში წვრთნიან.

გუშინვე ამერიკული ხომალდი ბათუმის პორტში შევიდა. შავი ზღვის საქართველოს აკვატორიას „ჯონ ჰოლი" 19 აპრილს დატოვებს.

**ჯი-ეიჩ-ენ**



### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7499 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3302 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.6628 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.9520 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.3636 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1778 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2083 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1643 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5643 ლარი |



**„ოჯახის მკურნალი"**

ჰომეოპათიის (თ. ალაშვილი – დირექტორი), ქართული ტრადიციული მედიცინის (ნ. ნაჭყებია), ბავშვთა მანუალური თერაპიის (თ. მინოშვილი), მასაჟის და სამკურნალო ფიზკულტურის კლინიკა

რუსთაველის 28/ალ. ჭავჭავაძის 2ა, 98-64-86, 98-99-55, (899) 55-99-61.

www.alashvili.com

### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +11 – +22 |
| ქუთაისი. | +16 – +25 |
| ბათუმი. | +11 – +25 |
| ზუგდიდი. | +10 – +27 |
| თელავი. | +8 – +21 |

**რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში"**

გ. ახვლედიანის ქ. №19.

99-62-77; 899 32-85-76.

### ანეკდოტები

– მარო, მე რომ ლატარიაში ფული მომეგო, რას იზამდი? – ეკითხება მიხო ცოლს.

– ნეტა მაგას მოვესწრო და, მაშინვე გაგშორდებოდი, შე ლოთო, შენა და იმ მოგებულის ნახევარსაც წავიღებდი.

– გადასარევია! დღეს ორი ათასი ლარი მოვიგე. აიღე შენი ნახევარი და აავცი აქედან!

* * *

საოცარი საცობებისა და ჭედვის გამო გამოსაფხიზლებელში სრულიად გამოფხიზლებული კლიენტი მიიყვანეს.

* * *

– ივან, აბა მომიყვანე ადამიანის ორგანიზმზე ალკოჰოლის დამანგრეველი მოქმედების დამადასტურებელი ორი მაგალითი.



– რაო, კვლავ მშობლები მოვიყვანო სკოლაში?

* * *

– კლავა, მოდი ჩქარა, ის ქალი განახო, რომელიც ივანს უყვარს!

კლავა ფანჯარასთან მივარდა:

– აბა, რომელია?

– აი, ის, შუქნიშანთან რომ დგას.

– სულელო, ეს ხომ ივანის ცოლია.

– აბა, მე რა გითხარი?

* * *

ახალგაზრდა მომღერალი გოგო რეპეტიციაზე მივიდა. ხმა ჩახრენწილი აქვს.

– რაო, ყელი გაგიცივდა? – ეკითხება ხმის რეჟისორი.

– არა, გამეხეხა.

### დღის კალენდარი

## 17 აპრილი

ღირსისა გიორგი მალეიელისა (IXს); ღირსისა ზოსიმესი (დაახლ. 560ს); მოწამეთა: ფერბუთა ქალწულისა, დისა მისისა და მხევლისა მისისა (341-343ს); მღვდელმოწამისა ნიკიტა ალბანელისა (1808ს).



ამოდის 05.18
ჩადის 18.44



ამოდის 06.32
ჩადის 22.13

## დაიბადნენ:

1812 – **ვახტანგ ორბელიანი,** ქართველი პოეტი, გარდაიცვალა 1890 წელს.

1818 – **შარლ გუნო,** ფრანგი კომპოზიტორი. გარდაიცვალა 1893 წელს.

1818 – **ალექსანდრ მეორე,** რუსეთის იმპერატორი. 1861 წელს მან ბატონყმობა გააუქმა (საქართველოში 1864 წელს). ტრაგიკულად დაიღუპა 1881 წელს.

1874 – **იუსტინე აბულაძე,** ფილოლოგი, რუსთველოლოგი. გარდაიცვალა 1962 წელს.

1895 – **აკაკი ხორავა,** თეატრისა და კინოს სახელგანთქმული მსახიობი. გარდაიცვალა 1972 წელს.

1897 – **ტორნტონ უაილდერი,** ამერიკელი მწერალი. გარდაიცვალა 1975 წელს.

1911 – **ერვე ბაზენი,** ფრანგი მწერალი. გარდაიცვალა 1969 წელს.

1947 – **დავით მჭედლური,** პოეტი. გარდაიცვალა 2005 წელს.

## გარდაიცვალნენ:

1790 – **ბენჯამინ ფრანკლინი,** ამერიკელი მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე.

1921 – **კონსტანტინე (კოტე) ყიფიანი,** მსახიობი, საზოგადო მოღვაწე, მთარგმნელი, ლექსიკოგრაფი.

1933 – **კონსტანტინე (კოტე) მარჯანიშვილი,** დიდი თეატრალური რეჟისორი.

1972 – **კავაბატა იასუნარი,** იაპონელი მწერალი.

## მოვლენები:

**1770 წელი** – რუსთა და ქართველთა გაერთიანებულმა ლაშქარმა (რუსთა ჯარს სათავეში ედგა გენერალი ტოტლებენი, ხოლო ქართველების ლაშქარს ერეკლე II), ალყა შემოარტყა აწყურის ციხეს. შუაღამისას ტოტლებენმა ჯართან ერთად ჩუმად დატოვა ბანაკი. ქართველთა ლაშქარმა მაინც დაამარცხა თურქები.

**1839 წელი** – ცენტრალური ამერიკის რესპუბლიკის დაშლის შემდეგ შეიქმნა გვატემალას რესპუბლიკა.

**1919 წელი** – საფრანგეთში მიღებული იქნა კანონი 8-საათიანი სამუშაო დღის დაწესების შესახებ.

**1980 წელი** – სამხრეთ როდეზია ზიმბაბვე გახდა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**მეხანძრის დღე.**

**სირია** – ნაციონალური დღე.

**მედიანიუსი**

### კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.